

გენდერული დეზინფორმაცია და ჰომოფობია საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო განცხადებებში — ნარატივების კვლევა

2024

კუბლიკაცია მომზადებულია “მედია აპრილის” მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კრიზისის პრევენციისა და შემდგომი აღდგენის ბიუროსა და ნორვეგიის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის “მედია აპრილს” და შესაძლოა არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

შინაარსი

წინათქმა 3

- არსებული დამოკიდებულებები 4
- ძირითადი მიგნებები 9

მეთოდოლოგია 11

წინასაარჩევნო პერიოდი 13

- ლგბტქია+ უფლებები და ჰომოფობიური კანონი 14
- ქართული ოცნების განცხადებები 14
- ოპოზიციური პარტიების განცხადებები 19
- ჰომოფობიური კანონი, როგორც "ბავშვთა დაცვის ინსტრუმენტი" 23
- დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაციის მცდელობა 25
- ქვიარფობია, როგორც საარჩევნო დაპირება 29
- ქალთა უფლებები, სექსიზმი და დისკრიმინაციული ენა 35
- ტრანსგენდერ ქალებზე ძალადობა და მკვლელობა 41

პოსტსაარჩევნო პერიოდი 45

შეჯამება 49

წინათქმა

გენდერული დეზინფორმაცია და ჰომოფობია საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო განცხადებებში — ნარატივების კვლევა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კრიზისის პრევენციისა და შემდგომი აღდგენის ბიუროსა და ნორვეგიის მხარდაჭერით განხორციელდა.

კვლევა წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო ტენდენციებს აანალიზებს.

კვლევის ფარგლებში მონიტორები აკვირდებოდნენ პოლიტიკურ აქტორებს გენდერული დეზინფორმაციისა და ჰომოფობიის გამოყენების თვალსაზრისით. კვლევა განხორციელდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში.

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო 9 მონიტორი, რომელიც 2024 წლის 26 აგვისტოდან 25 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში აკვირდებოდა პოლიტიკური სუბიექტების ოფიციალურ Facebook გვერდებს, ასევე პრესაში, ტელევიზიაში თუ ონლაინ მედიაში გავრცელებულ განცხადებებს.

მედია საშუალებების მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით და განცხადებების საძიებოდ გამოყენებული იქნა კონკრეტული საკვანძო სიტყვები.

მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და მთავარი მიგნებების მიმოხილვის შემდეგ, კვლევის ძირითადი ნაწილი თვისებრივი ანალიზის შედეგებს ეთმობა. კერძოდ, განხილულია წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების მიერ გამოვლენილი გენდერული დეზინფორმაცია და ჰომოფობიური ნარატივები.

არსებული დამოკიდებულებები

საქართველოში ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის მაჩვენებელი, ასევე, სკეპტიკური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ, ჯერ კიდევ მაღალია[1]. ამ განწყობების გამოყენებით მოსახლეობაზე გავლენის მოხდენა წლების განმავლობაში უცდია არაერთ პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც გენდერსა თუ სექსუალობას ქართულ ტრადიციებთან დაპირისპირებაში მყოფად წარმოაჩენენ, თანასწორობის მომხრეებს კი — ტრადიციების მტრებად[2].

მოსახლეობის ირაციონალური შიშებით მანიპულირება ბევრ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა, ლიდერთა შორის კი რუსეთი მოიაზრება, რომელიც დასავლეთით და ტრადიციების "წართმევით" აშინებს არა მხოლოდ საკუთარ მოსახლეობას, არამედ, ცდილობს ეს პროპაგანდა აწარმოოს იმ ქვეყნებშიც, სადაც პოლიტიკური ინტერესები აქვს[3]. ხშირად, ტრადიციების "წამრთმევებად" ქალებსა და ქვიარ ადამიანებს წარმოაჩენენ, აპელირებენ რა ერთი ჯგუფის უპირატესობაზე, ხოლო დანარჩენების მიმართ არსებობს მორჩილების მოლოდინი.

საქართველოს პარლამენტში თუ მის მიღმა, ბრიფინგებზე თუ სამუშაო შეხვედრებზე, პოლიტიკურ დისკუსიებში თუ ჟურნალისტებთან გაკეთებულ განცხადებებში, პოლიტიკოსების მიერ სექსისტური და დისკრიმინაციული ენის გამოყენება, მიზოგინია წლების განმავლობაში გავრცელებული პრაქტიკაა[4]. მსგავსი ქცევა ხშირად ქალების დამცირებას და მათ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

1. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება — UNFPA (2024); ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა — საქართველოს სახალხო დამცველი (2022)

2. წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: კვლევა ლგბტ თემის და მათი უფლებების მიმართ სოციალური დამოკიდებულებების, ცოდნისა და ინფორმაციის შესახებ — ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე — WISG (2016, 2023)

3. Ukraine war: how Putin's anti-LGBTQ+ agenda is an attempt to build support for the invasion

4. მედიის განვითარების ფონდი:
- ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში
- გენდერული დეზინფორმაცია

ბოლო წლებში აღინიშნება გენდერის ტერმინის პოლიტიზების ტენდენცია და გენდერთან დაკავშირებული თემების, მათ შორის, დეზინფორმაციის, პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოყენება.

მედიის განვითარების ფონდის (MDF) ანგარიშის თანახმად, ამ ტიპის დამოკიდებულებებით სოციალურ ქსელებში განსაკუთრებულად გამოირჩევა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ან ასოცირებული გვერდები. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქალი პოლიტიკოსების მიმართ თავდასხმები ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ინდიკატორებით: ანტიფემინიზმი/მიზოგინია; გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა; ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება; მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა; ეიჯიზმი ანუ დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით; თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, "დანიშნულების", საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

საქართველოში ღრმად ფესვგადგმულია პოლიტიკური ჰომოფობიაც და ამას პოლიტიკოსების მიერ წლების განმავლობაში გაკეთებული განცხადებებიც ადასტურებს. მაგალითად, 2012 წლის 17 მაისის შემდეგ, როცა ქვიარ თემმა და აქტივისტებმა მცირერიცხოვანი აქცია გამართეს და მათ "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი" ფიზიკურად გაუსწორდა, საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან, გიორგი თარგამაძე კონსტიტუციაში ცვლილების ინიციატივით გამოვიდა — ის "ერთსქესიანთა ქორწინების" აკრძალვას ითხოვდა და პარტიის წარმომადგენლებმა მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ წლების შემდეგ, პარტიის იმჟამინდელმა ლიდერმა, გიორგი თარგამაძემ ბოდიში მოიხადა.

2013 წლის 17 მაისის აქციაზე სასულიერო პირებისა და მრევლის მხრიდან პოლიციის კორდონის გარღვევა და მშვიდობიანი მოქალაქეების დარბევა, მართალია, დაგმო იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, თუმცა თქვა ისიც, რომ არ შეეხება იმ საკითხს, რამდენად გამართლებულია აქციის გამართვა იქ, სადაც "მიმდინარეობდა ცერემონია ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების".

2013 წლის 17 მაისს ხელისუფლებაში მყოფმა ქართულმა ოცნებამ, მოქალაქეებისთვის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა არ უზრუნველყო. მომდევნო წელს, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ 17 მაისს "ოჯახის სიწმინდის დღე" დააწესა და ყოველ წელს ცენტრალურ ქუჩებში მსვლელობას აწყობს, ლგბტქია+ თემისთვის კი შეკრების თავისუფლება შეზღუდულია გაზრდილი საფრთხეების გამო.

წლებია, ქვიარების უფლებების, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა სახელმწიფოსთვის, სხვადასხვა ძალადობრივი აქციის ორგანიზატორები კი ხშირად დაუსჯელები რჩებიან. მეტიც, ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული ოცნების წარმომადგენლები თავად ახალისებენ ქვიარ თემის მიმართ სიძულვილის ენასა და ჰომო/ტრანსფობიას[5]. გააქტიურდა პოლიტიკური ჰომოფობია და ქვეყნის მაღალჩინოსნები აქტიურად აკეთებენ დისკრიმინაციულ განცხადებებს[6].

სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან ხშირია ღიად სექსისტური და მიზოგინიური განცხადებებიც, ქალების შეურაცხყოფა და მათ წინააღმდეგ სიძულვილის კამპანიების წახალისება. Meta-სა და ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორიის არაერთი კვლევით დადასტურდა პოლიტიკური პარტიების კავშირები იმ არაავთენტურ ანგარიშებთან, რომლებიც, მათ შორის, ქალებსა და ქვიარებს თავს ესხმიან, შეურაცხყოფენ მათ და ახალისებენ სიძულვილს.

ის, რომ პოლიტიკური ძალების უმეტესობა დაკავებულია არა სიძულვილთან ბრძოლით, არამედ, მისი გაძლიერებით, ხშირად განაპირობებს მოქალაქეების განწყობებსაც. წლების განმავლობაში, კვლევებში, სადაც მოქალაქეებს ეკითხებოდნენ, ვის არ ისურვებდნენ მეზობლად, ერთ-ერთი პირველი ქვიარ თემი იყო.

5. მედიის განვითარების ფონდი:
- სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია
- ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში

6. "როცა უნდა ეწოდოს არა ქალი და კაცი, არამედ მშობელი" - რაზე ელაპარაკება "ოცნება" ხალხს რეგიონებში — რადიო თავისუფლება (2024)

მიუხედავად პოლიტიკური ჰომოფობიისა, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ წლებთან ერთად საზოგადოების დამოკიდებულებები ქვიარ თემის მიმართ დადებითისკენ იცვლება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2022 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 38% მიიჩნევს, რომ ლგბტქია+ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, მცირედით ნაკლები, დაახლოებით ამდენივე, ამბობს, რომ უმნიშვნელოა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლებთან ერთად გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ქვიარების უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ხოლო შემცირდა "უმნიშვნელოა" პასუხების რაოდენობა.

იმას, რომ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება, აჩვენებს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) 2022 წლის კვლევაც, რომლის თანახმად, იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ლგბტქია+ თემის წევრთათვის ცალკეული უფლების შეზღუდვას ემხრობა, მკვეთრადაა შემცირებული. თუმცა, ეს ცვლილება ავტომატურად არ კონვერტირდება პოზიტიურ დამოკიდებულებებში – 2016 წელთან შედარებით, გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ნეიტრალურ დამოკიდებულებას აფიქსირებს ან თავს არიდებს კითხვაზე პასუხის გაცემას. ამასთან, ამ რესპონდენტთა ჰომო/ბი/ტრანსფობიის ინდექსი ხშირ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვინც ნეგატიურ დამოკიდებულებას ღიად გამოხატავს. კვლევის თანახმად, შესაძლოა ითქვას, რომ ლგბტქია+ ადამიანების უფლებრივი თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ნეგატიური პოზიციის ღიად გამოხატვა ნაკლებად მისაღებად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) კვლავ ემხრობა მოსაზრებას, რომ ლგბტქია+ ადამიანებს კანონით უნდა აეკრძალოთ შეკრებისა და გამოხატვის უფლება, 2016 წელთან შედარებით, როცა ეს მონაცემი 78.1% იყო, ამგვარი მოსაზრების მქონე რესპონდენტთა წილი თითქმის მეოთხედითაა შემცირებული, ხოლო იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეზღუდვას მიუღებლად მიიჩნევს, ორჯერ არის გაზრდილი (2016 წელს ამგვარ რესპონდენტთა წილი მხოლოდ 14.6% იყო, ხოლო 2021 წელს კი 27.1%).

ამავდროულად, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ლგბტქია+ თემის უფლებრივი თანასწორობისთვის ბრძოლას /თვითგამოხატვას კვლავ "საკუთარი ცხოვრების წესის სხვებისთვის თავზე მოხვევად" და/ან პროპაგანდად აღიქვამს. დებულებას "ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებები დაცული უნდა იყოს, მაგრამ არაა საჭირო, რომ გეებმა/ლესბოსელებმა თავიანთი ცხოვრების სტილი სხვებს მოახვიონ თავზე", სრულიად ან ნაწილობრივ იზიარებს გამოკითხულთა 55.9%, თუმცა, 2016 წელთან შედარებით, ასეთი რესპონდენტების წილი 20.6%-ითაა შემცირებული.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ ამომრჩეველთა გულის მოგების მიზნით, პოლიტიკოსების მხრიდან ჰომოფობიური რიტორიკა განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ აქტიურდება.

წინამდებარე კვლევის მიზანია, დააკვირდეს პოლიტიკურ აქტორებს წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში, ასევე, შეისწავლოს ის ნარატივები, რომლებსაც ისინი იყენებენ საარჩევნოდ ხმების მობილიზებისთვის.



ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური ჰომოფობია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მმართველი პარტიის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო. წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი დაპირებებიც სწორედ ჰომოფობიურ ნარატივებზე იყო აგებული. საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მმართველი პარტიამ ასე მძლავრად გამოიყენა ჰომოფობიური ნარატივები წინასაარჩევნო კამპანიაში.

- წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტია ჰომოფობიურ ნარატივებს ორი მთავარი მიმართულებით იყენებდა. კერძოდ, "ტრადიციული ღირებულებების", "ოჯახის" და "ქრისტიანული ღირებულებების" დაპირისპირებით ქვიარ თემთან. ასევე, დასავლური ღირებულებების გაიგივებით "ლგბტქია+ პროპაგანდასთან". იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ქვიარ ადამიანებისგან მტრის ხატის შექმნა, ხოლო მეორე მხრივ, დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაცია.

- მმართველმა პარტიამ ჰომოფობიური და ცენზურის დამწესებელი კანონი (საქართველოს კანონი "ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ") საარჩევნო დაპირებად აქცია და ამომრჩეველს აიმედებდა, რომ მსგავსი შინაარსის ცვლილებები შევიდოდა საქართველოს კონსტიტუციაშიც, თუ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობით აირჩევდნენ.

- ქვიარ ადამიანების ინსტრუმენტალიზაციის გზით და ჰომოფობიური მოტივებით, მმართველი პარტია ცდილობდა დაემუნათებინა ოპონენტები და ამომრჩევლის თვალში დაეკნინებინა ოპოზიციური პარტიების ღირსება, "რადგან ისინი ვერ ბედავდნენ ნათლად გამოეხატათ საკუთარი პოზიცია".

- ქართული ოცნების თითქმის ყველა დეპუტატი იყენებდა ტერ-

მინს "ლგბტ პროპაგანდა" და ავრცელებდა მსგავსი შინაარსის მესიჯებს, ასევე, ავრცელებდა დეზინფორმაციას გენდერთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა მიღებულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით პოზიციას საერთოდ არ გამოხატავდა. ჟურნალისტების კითხვაზე საპასუხოდ კი, უმეტესწილად აღნიშნავდნენ, რომ ეს ქართული ოცნების მორიგი დაპირებაა ხალხზე ზემოქმედებისთვის.

- გაცხადებულად პრორუსული პარტია, პატრიოტთა ალიანსი (და მათთან გაერთიანებული ძალადობრივი ალტ ინფო) აცხადებდა, რომ ქართულმა ოცნებამ მათ იდეები მოჰპარა. ასევე, იყენებდნენ ჰომოფობიურ ტერმინოლოგიას და აკეთებდნენ ანტიდასავლურ განცხადებებს.

- პარტია გირჩი ეხებოდა ლგბტქია+ თემის უფლებების, ასევე, ჰომოფობიური კანონის საკითხს, თუმცა ნაწილობრივ ჰომო/ტრანსფობიური და დამაზიანებელი განცხადებებით.

- პოლიტიკოსთა მხრიდან იშვიათად ფიქსირდებოდა ქალებისა და ლგბტქია+ თემის უფლებების მხარდამჭერი პოზიციები.

- საანგარიშო პერიოდში ნაკლებად გვხვდებოდა პოლიტიკოსების კომენტარები ქალების უფლებების შესახებ, მათ შორის არც როგორც წინასაარჩევნო კამპანიების ნაწილი.

- ჰომოფობიური გზავნილები გაგრძელდა არჩევნების შემდეგაც. ქართული ოცნების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათი მხრიდან "ტრადიციული ღირებულებების" მხარდაჭერამ არჩევნებში გამარჯვება განაპირობა. ასევე, დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით, კეთდებოდა განცხადებები, რომ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორები კანონის გაუქმებას ითხოვენ. ოპოზიციურ პარტიებს არც არჩევნების შემდეგ გაუკეთებიათ მკვეთრად მხარდამჭერი განცხადებები.

- თანასწორობა, მრავალფეროვნება არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მთავარი დაპირებებიდან ერთ-ერთი მაინც.

- პოლიტიკური სუბიექტების მიერ მტრული ნარატივების გავრცელება, ქვიარ ადამიანების დემონიზების მცდელობის რიგი შემთხვევები, რაც ანგარიშშიც აისახა, შესაძლოა პროპაგანდისტული ნარატივების ბადეში გაბმული მოქალაქისთვის ძალადობის მწვანე შუქად იქცეს.

მეთოდოლოგია

მედია საშუალებების მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული საკვანძო სიტყვების გამოყენებით, IPM-ის მეთოდოლოგიის საშუალებით, მონიტორებმა შეისწავლეს ქვემოთ ჩამოთვლილი მედია საშუალებების მიერ გაშუქებული მასალა. ხოლო პარტიების Facebook გვერდებზე შინაარსობრივი მონიტორინგი განხორციელდა პირდაპირი გზით.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები, პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც მონაწილეობდნენ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ასევე, მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერმინისტრი და პრეზიდენტი.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო (26 აგვისტო-25 ნოემბერი) პერიოდს. მონიტორინგი ეხება სუბიექტების მიერ ან მათი ჩართულობით გაკეთებულ განცხადებებს ლგბტქია+ და ქალების უფლებების შესახებ პრესაში, ტელევიზიაში თუ ონლაინ მედიაში, ასევე, ოფიციალურ Facebook გვერდებზე.

კვლევის მიზნებისთვის, შეირჩა ცხრა სატელევიზიო არხი:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- იმედი;
- რუსთავი 2;

- ფორმულა;
- მთავარი არხი
- TV პირველი;
- POS TV;
- ობიექტივი.

ათი ონლაინ მედია:

- Ambebi.ge;
- Interpressnews.ge;
- Kvira.ge;
- Mpn.ge;
- Netgazeti.ge;
- News.On.ge;
- Primetime.ge;
- Publika.ge;
- Radiotavisupleba.ge;
- Tabula.ge.

ორი ბეჭდური მედია

- კვირის პალიტრა;
- ასავალ-დასავალი.

საპარლამენტო არჩევნების წინ შექმნილი კოალიციების (ჯამში 16 პოლიტიკური პარტიის) FACEBOOK-ის ოფიციალური გვერდები:

- კოალიცია ცვლილებებისთვის — გვარამია, მელია, გირჩი, დროა;
- გახარია საქართველოსთვის;
- ძლიერი საქართველო — ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის;
- ქართული ოცნება;
- ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობა;
- ევროპული საქართველო;
- ლეიბორისტული პარტია;
- გირჩი;
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.

წინასაარჩევნო პერიოდი

წინასაარჩევნო პერიოდში ქართული ოცნება და მასთან აფილირებული ჯგუფები აქტიურად იყენებდნენ ჰომოფობიურ რიტორიკას. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჰომოფობიური კანონი (საქართველოს კანონი "ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ") და შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები მათი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო. ამავდროულად, ამ კანონის ჭრილში ცდილობდნენ ოპოზიციისა და პრეზიდენტის ქვეყნის მტრებად წარმოჩენას, ხოლო დასავლეთის — ქართული ტრადიციების მოწინააღმდეგედ.

ჰომოფობიური ნარატივების ორი მთავარი მიმართულება:

"ტრადიციული ღირებულებები", "ოჯახი", "ოჯახური ღირებულებები", "ქრისტიანული ღირებულებები"

VS

ქვიარ თემი, "ლგბტქია+ პროპაგანდა

"ლგბტქია+ პროპაგანდა"

=

დასავლური ღირებულებები

ლგბტქია+ უფლებები და ჰომოფობიური კანონი

მონიტორინგის პერიოდში, პარლამენტმა მიიღო ქართული ოცნების ჰომოფობიური კანონპროექტების პაკეტი, მათ შორის კანონი "ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ". აღნიშნული კანონები, როგორც ქვიარ ადამიანების უფლებების შემზღუდავი და ცენზურის დამწესებელი, გააკრიტიკეს ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ჰომოფობიური კანონი ქართული ოცნების პოლიტიკური განცხადებებისა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. საჯარო გამოსვლების უმრავლესობაში, პარტიის წევრებს ჰქონდათ ჰომოფობიური განცხადებები და ამბობდნენ, რომ ქვეყანაში "ლგბტ პროპაგანდა" დიდი პრობლემაა.

"ლგბტ პროპაგანდის" რამე ფორმით არსებობას არც ერთი კვლევა არ ადასტურებს, თუმცა არაერთი ანგარიში[7] ადასტურებს, რომ ეს ნარატივი რუსული პროპაგანდის ნაწილია[8] — მსგავსი კანონი რუსეთში ჯერ კიდევ 2013 წელს მიიღეს და მიზეზად იქაც ოჯახისა და არასრულწლოვანების დაცვას ასახელებდნენ, მოგვიანებით კი კანონის ჩარჩო მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ქართული ოცნების განცხადებები

არარსებულ "ლგბტ პროპაგანდაზე" ისაუბრა 21 ოქტომბერს, ქართული ოცნების სიის პირველმა ნომერმა, ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია იმედთან ინტერვიუში. მან გაავრცელა პროპაგანდისტული, ასევე, ანტიდასავლური ნარატივები, რომლებიც წლების

7. 'Gayrope': This is how Russia uses disinformation against the LGBTQ+ community to attack democracies

8. FIMI targeting LGBTIQ+ people: Well-informed analysis to protect human rights and diversity

განმავლობაში აქტიურად გამოიყენება ლგბტქია+ თემის მტრად წარმოჩენის მიზნით.

- “ნორმალურია ეს აგიტაცია? ეს არის ის, რასაც გვეუბნებიან ჩვენ — რა მოხდა, ქუჩაში გამოვიდნენ. აი, სად მიდის ეს ქუჩის გამოსვლა, ეს ნახეთ. რაც შეეხება პარადებს და სხვა დანარჩენი, ნახეთ ქვეყნები, მე ქვეყნებს შეგნებულად არ დავასახელებ, სად მიდის ეს იდეოლოგია. ის, რომ ამბობენ ქალს ქალი აღარ დავუძახოთ და კაცს კაცი აღარ დავუძახოთ, ის რომ ბაღის 5 წლამდე ბავშვებში მიდის უკვე სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, ის, რომ მაგალითებია ამის რამდენიც გინდათ და ამის მოპოვება რთული არ არის, ის, რომ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის მასწავლებელი ციხეში მეორედ შეუშვეს იმის გულისთვის, რომ გამოვიდა და ისევ თქვა პრინციპულად, რომ მხოლოდ ორი სქესი არსებობს — მამრი და მდედრი და არ არსებობს ეს მრავალფეროვნება სექსუალობის და ათასობით არ არსებობს, ისევ შეუშვეს მეორედ ციხეში”.

- “აი, აქ მიდის ეს, ნელ-ნელა რომ დაიწყოთ მარტივი ქუჩის მიტინგი, სადაც გასდით, აქ აჰყავთ უკვე, აქ მიდის. ის, რომ მამაკაცების საპირფარეშოებში ჰიგიენურ ხელსახოცებს დებენ, ის, რომ მამაკაცის რძე იგივეა, რაც დედაკაცის. მე არ მინდა ქვეყნებს შევეხო და ცალკეული პიროვნებების განცხადებები გავიხსენო, ძალიან დიდი პოლიტიკოსების. ქალია თუ კაცი, გოგოა თუ ბიჭი, არ უნდა თქვა. მიზანი მარტივია — ადამიანმა არ უნდა იცოდეს ქალია თუ კაცი, არათუ ის, რომ ქრისტიანი თუ მუსლიმია, არათუ ის, რომ მას ჰყავდა დავით აღმაშენებელი და მან თავისი ისტორია და იდენტობა უნდა იცოდეს და მრავალჟამიერი იცოდეს — არა, არა, ეს ყველაფერი უნდა გადაიყაროს, მან ისიც კი არ უნდა იცოდეს ქალია თუ კაცი. ეს არის უახლესი იარაღი დაპყრობის, ამ ადამიანს რაც გინდა ის უქენი, არაფრის ხელის განმძრევი არ არის, არაფერს აღარ დაიცავს. აქ მიდის ყველაფერი”.

- “პროპაგანდას რაც შეეხება, ბოდიში მომიხდია, საკუთარ სახლში ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, არავინ არ შედის და არავინ არავის არ მისდევს, მაგრამ პროპაგანდამ და აგიტაციამ რაც გამოიწვია, ნახეთ ქვეყნები და არსებობს სტატისტიკა ამის, რამდენჯერ გაიზარდა რიცხვი“.

წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტიის თითქმის ყველა დეპუტატი იყენებდა ტერმინს “ლგბტ პროპაგანდა”, ასევე, ავრცელებდა დეზინფორმაციას გენდერთან დაკავშირებით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამის მიზანი იყო ქვიარ ადამიანებისგან მტრის ხატის შექმნა და ამის ხარჯზე ამომრჩევლის აზრის მიმხრობა. ასევე, გამოყენებული იყო სიტყვა “ელგებეტე”, რომელიც ხშირად ქვიარ ადამიანების დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა პარტია ხალხის ძალა, რომელიც არც 2024 წელს იყო საარჩევნო სუბიექტი და მისი წევრების ნაწილი ქართული ოცნების სიაში იყო. პარტიის წევრების მიერ გამოვლენილი სიძულვილის ენა და მკვეთრად ჰომოფობიური განწყობები ემსახურებოდა ქვიარ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზებას, რათა მომხდარიყო ლგბტქია+ ადამიანების უფლებების გაუფასურება და დისკრედიტაცია.

“ბავშვი მიანდო იმ ადამიანს, რომელსაც თვითონ ვერ გაურკვევია ქალი იქნება თუ კაცი იქნება — ამაზეა ეს კანონპროექტი მთლიანად და ამ მუხლში რატომ არის ის, რომ ვინმემ არ შეიძლება ბავშვი აიყვანოს, რომელიც არ არის გარკვეული რომელი სქესის არის ბიოლოგიურად ამაზეა აქ საუბარი”, — აცხადებდა გურამ მაჭარაშვილი, ქართული ოცნების სიის 51-ე ნომერი.

აღსანიშნავია, რომ ქართული ოცნების წარმომადგენლების განცხადებებში ერთდროულად რამდენიმე ნარატივი გვხვდებოდა.

ქართული ოცნებისა და ხალხის ძალის მიერ გამოყენებული ძირითადი ჰომოფობიური, ბიფობიური, ტრანსფობიური და მანიპულაციური ნარატივები

"დედა დედაა, მამა მამაა"

ბიძინა ივანიშვილი:

> საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა. ვეღარავინ უნდა ბედავდეს ცხოვრების გაუკუღმართებული წესის პროპაგანდას, რაც დღეს უკონტროლოდ მოედინება რადიკალური ჯგუფების მიერ მართული მედიიდან.

ირაკლი კობახიძე:

> ევროპაში არის ეს ტენდენცია, რომ დედას დედა შეიძლება აღარ ერქვას და მამას მამა შეიძლება აღარ ერქვას. კონკრეტულ სახელმწიფოებში საკანონმდებლო ცვლილებებია განხორციელებული ამასთან დაკავშირებით, რომ დედას შეიძლება არ ერქვას დედა და მამას არ ერქვას მამა. და ამ კანონში წერია ერთადერთი რამ, რომ არ გვინდა ეს პროპაგანდა.

"ქალი ქალია, კაცი კაცია"

გურამ მაჭარაშვილი:

> ბავშვი მიანდო იმ ადამიანს, რომელსაც თვითონ ვერ გაურკვევია, ქალი იქნება თუ კაცი იქნება, ამაზეა ეს კანონპროექტი მთლიანად და ამ მუხლში რატომ არის ის, რომ არ შეიძლება ვინმემ ბავშვი აიყვანოს, რომელიც არ არის გარკვეული რომელი სქესის არის ბიოლოგიურად, ამაზეა აქ საუბარი.

ბიძინა ივანიშვილი:

> ანტიქრისტიანული ძალები ცდილობენ, ერებს, სახელმწიფოებს და ადამიანებს ყოველგვარი იდენტობა წაუშალონ. მათი მიზანია, ადამიანი იქცეს ღირსებისა და მორალისგან დაცლილ არსებად, რომელსაც არ ექნება არავითარი ეროვნული, რელიგიური თუ პიროვნული იდენტობა; ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი.

ნარატივი, რომ ქვიარ ადამიანების უფლებებს იცავენ და ებრძვიან მხოლოდ "პროპაგანდას"

ირაკლი კობახიძე:

> თქვენ იცით, რას ეხება ეს კანონი. ეხება მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის შეზღუდვას, ადამიანის უფლებები არის უმაღლეს დონეზე დაცული. არავინ არავის პირად ცხოვრებაში არ იჭრება და არავის განსასჯელი არ არის არავისი ცხოვრების წესი. არასდროს ყოფილა ადამიანის უფლებები დაცული, როგორც არის დღეს.

> აქ არ არის საუბარი ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე. ერთადერთი, რაც იზღუდება, ეს არის უხეში პროპაგანდის გამოყენება, რომელსაც აქვს ძალიან უცნაური მიზნები. ეს კრიტიკა არის ჩვენთვის უკიდურესად შემაშფოთებელი და იმედი გვაქვს, რომ მომავალში ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებისგან ასეთ განცხადებებს აღარ მოვისმენთ.

გამოვლინდა არაერთი მანიპულაციური და დეზინფორმაციული გზავნილი. მაგალითად, მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა: "ბიძინა ივანიშვილი და მმართველი ძალა რეგიონებში მუდმივად საუბრობს, რომ გამოწვევაა ლგბტ პროპაგანდისგან ოჯახების დაცვა — ევროკავშირში სულ ორი ქვეყანაა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაშვებული არ არის და ეს ზეწოლა გაგრძელდება". ქართული ოცნების წევრები მსგავსი დეზინფორმაციული ნარატივის გავრცელებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას ცდილობდნენ.

ოპოზიციური პარტიების განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი მიღებულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით პოზიციას საერთოდ არ აფიქსირებდა და ჟურნალისტების კითხვაზე პასუხად, უმეტესწილად აღნიშნავდნენ, რომ ეს ქართული ოცნების მორიგი დაპირებაა ხალხზე ზემოქმედებისთვის. მაგალითად:

- თინა ბოკუჩავა, ნაციონალური მოძრაობა — "ჩვენ აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეობას არ მივიღებთ, რადგან ის რეალური პრობლემები, რომლის წინაშეც საქართველოს მოქალაქეები დგანან, ჩვენ გვესმის არა იზოლაციაში მოქცეულ საქართველოს პარლამენტში, სადაც ცრუ ნარატივებით ცდილობს ხელისუფლება გადაფაროს ადამიანის რეალური პრობლემები, არამედ საქართველოს თითოეულ რეგიონში, ქალაქში თუ სოფელში, სადაც ჩვენ მივდივართ".

- ზურაბ ჯაფარიძე, გირჩი-მეტი თავისუფლება — "წინასაარჩევნო ამბავია, ცდილობენ მოიგონ იმ ადამიანების გული, რომლებიც ჯერ ამ პროპაგანდით დააშინეს და დააჯერეს, რომ ჩვენ თუ წავალთ დასავლეთისკენ და გავხდებით დასავლეთის ნაწილი, რაც ყოველთვის იყო საქართველო, თითქოს ამით რამე დაემართებათ ჩვენს შვილებს. თავიდან ბოლომდე ბოდვაა და წინასაარჩევნოდ იყენებენ ამ შიშებს".

- რომან გოცირიძე, ნაციონალური მოძრაობა — "ეს არის თითიდან გამოწოვილი საკითხი, მორიგი რუსული კანონია, გადმოწერილია პირდაპირ რუსეთიდან".

- ლევან ხაბეიშვილი, ნაციონალური მოძრაობა — "მე ლევან ხაბეიშვილი ვარ, მართლმადიდებელი ქრისტიანი, მყავს ორი შვილი, ორი ბიჭი, მე მხარს ვუჭერ ყველაფერს ქართულს".

განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ პარტია "გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენლებს. მათი თქმით, აპირებდნენ მხარი დაეჭირათ პაკეტში შემავალი რამდენიმე კანონპროექტისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ბაღებში და სკოლებში ბავშვების უფლებების დაცვასთან, "მათ შორის პროპაგანდის შეზღუდვის ნაწილში". თეონა აქუბარდიამ გარკვეულწილად გაიმეორა ნარატივი და თქვა, რომ "ნებისმიერი პროპაგანდა ბავშვების წინააღმდეგ არის სრულიად მიუღებელი". თუმცა, იქვე ისიც დაამატა, რომ ქართულ ოცნებას რეალურად ბავშვები არ ადარდებს.

მონიტორინგის პერიოდში, ოპოზიციური პარტიები არც საკუთარ სოციალური მედიის გვერდებზე გამოირჩეოდნენ ამ საკანონმდებლო პაკეტზე აქტიურობით. სოციალურ მედიაში ძირითადად რეგიონული ვიზიტები, ახალი შტაბების გახსნა და საარჩევნო დაპირებები ხვდებოდა.

უფრო ხშირად ეხებოდა ამ საკითხს პარტია გირჩი, მათ შორის, ნაწილობრივ ჰომოფობიური და დამაზიანებელი განცხადებებით — ზოგ შემთხვევაში გამონათქვამები არ გამორიცხავდა "ოცნების" პროპაგანდისტულ ნარატივს ან იკითხებოდა პარტიის წევრების მხრიდან ლგბტქია+ უფლებებისადმი ნაკლები ინტერესი.

- იაგო ხვიჩია — "ასევე გეების საფრთხის მოსახსნელად — არ ვიცი, საქართველოში ეს საფრთხე სად შეამჩნიეს, მაგრამ თუ დღევანდელი კონსტიტუცია ქართულ საზოგადოებაში გეების მოჭარბების საფრთხეს ქმნის, ეს კონსტიტუციაც მათი მიღებულია, ამიტომ ვერავის დააბრალებენ, კონსენსუსზე წავედით ვინმესთანო".

- ვახტანგ მეგრელიშვილი — "გასაგებია, რომ ეს არის წინასაარჩევნო კანონპროექტი, რომ თავის ამომრჩეველს უთხრას, როგორ იცავს ის ელგებეტე შემოსევისგან. რანაირად შეიძლება, რომ ვიღაც ადამიანს თავისი სექსუალური გემოვნების გამო შვილის აყვანაზე უარი ვუთხრა".

- ალექსანდრე რაქვიაშვილი — “ეს კანონი ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, შრომის უფლებებს და არ პასუხობს არცერთ რეალურ პრობლემას, მნიშვნელოვან პრობლემას და არ მგონია, რომ ჩვენი მოსახლეობა, რამენაირად გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა ამ კანონის შემდეგ და თუ ეს კანონი აღსრულდა, ბევრ ადამიანს შეეზღუდება უფლებები, რაც ცუდია, ამიტომ როცა ქართული ოცნება დამარცხდება, ეს კანონი იმ კანონთა სიაში იქნება, რაც უნდა გაუქმდეს”.

პატრიოტთა ალიანსის წევრები სამონიტორინგო პერიოდში აღნიშნულ კანონზე კომენტარს ნაკლებად აკეთებდნენ. იმ შემთხვევებში, როცა ისინი ამ თემაზე საუბრობდნენ, იყენებდნენ ჰომოფობიურ ტერმინოლოგიას და აკეთებდნენ ანტიდასავლურ განცხადებებს:

- დავით თარხან-მოურავი — “არ უნდა ავურიოთ პოლიტიკაში დემოკრატია პიდარასტობასთან. არ უნდა ავურიოთ, ეს სხვადასხვა რამეებია. სააკაშვილები ამას აკეთებენ, დასავლეთი კი არა, ესენი ცდილობენ და მათ უკან მყოფი დასავლეთის ორგანიზაციები. მთელი დასავლეთი კი არაა ეგეთი. ამათ ვინც აფინანსებს, პოლიტიკაც, ეკონომიკაც და პედერასტობაც ერთი და იგივეა და ჩვენთვის ეს მიუღებელია, არ გვინდა ეს ყველაფერი”.
- გოჩა თევდორაძე — “არჩევნებზე ხალხმა პატრიოტულ ძალებს უნდა დაუჭიროს მხარი და არა ფსევდო პატრიოტებს. დღეს ქართული ოცნება რომ ირგებს, მე ვარ პატრიოტი და მომხედეთო, თითქოს ელგებეტეს წინააღმდეგ რომ იბრძვის და მერე გვეუბნება, რომ ამ საკითხზე იზრუნებს არჩევნების შემდეგ. ვხედავთ, რომ ტყუილში გვიტარებს ამ კამპანიას”.

ოპოზიციის დისკრედიტაციის მცდელობა ლგბტქია+ უფლებების ინსტრუმენტალიზაციის გზით

ტრადიციული ეროვნული დროშა	VS	ლგბტქია+ დროშა
კანონის მხარდამჭერი	=	"კაცების გათხოვების დაკანონების მომხრე"
კანონის წინააღმდეგ წასვლა	VS	"ქართველი კაცის მორალის განადგურება"

მურამ მაჭარაშვილი:

ჩვენ მხარეს იქნება ტრადიციული ეროვნული დროშა, ოპოზიციის მხარეს იქნება ლგბტ დროშა და კაცების გათხოვების დაკანონების დროშა. არჩევანს გააკეთებს ქართული საზოგადოება.

ბიძინა ივანიშვილი:

ჩვენ პარლამენტში უკვე წარვადგინეთ კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", რომელსაც რადიკალური ოპოზიცია ისევე ეწინააღმდეგება, როგორც ყველა სხვა ეროვნულ წამოწყებას. ქართველი კაცის მორალი დღეს ოპოზიციისა და მისი მფარველების განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენს.

მურამ მაჭარაშვილი:

საქართველოში მათ უნდათ ის ხელისუფლება, რომელიც, მათ შორის, ლგბტ პროპაგანდას გააღვივებს ბავშვებში, რომ ადამიანებმა არ იცოდნენ ბავშვობიდან, ქალია თუ კაცია, რომ საქართველოში ტრადიციები იყოს უგულებელყოფილი.

მურამ მაჭარაშვილი:

პირდაპირი ბრძანება აქვთ უცხოური ძალიდან და მათი პატრონებიდან, რომ ამ კანონს მხარი არ დაუჭირონ, ამიტომაც არ მობრძანდნენ, პასუხს ვერ გასცემდნენ თავიანთ ამომრჩეველსაც კი ამ კანონს მხარს რომ არ უჭერენ.

კანონპროექტის ირგვლივ ოპოზიციის წარმომადგენლების პასიურობას ქართული ოცნება მანიპულაციისთვის იყენებდა და ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია ამ თემაზე საუბარს ქვეყნის შიგნით ქართველი ხალხის შიშის გამო ერიდება, ხოლო ქვეყნის გარეთ — მათი "ბატონების". მაგალითად, მამუკა მდინარაძემ განაცხადა: "რეალურად, მთელ ამ აგენტურას ერთი ცუდი რამე სჭირს ამ კანონთან დაკავშირებით. მათ რომ მხარი დაეჭირათ, სერიოზულად მოხვდებოდათ ბატონებისგან, ძალიან სერიოზულად. როცა არ უჭერენ მხარს, სერიოზულად ხვდებათ არჩევნებზე, მათ შორის, ქართული საზოგადოებისგან. აქ არიან შუაში გაჭედილები. ყველა მათგანმა, ნაცმოძრაობის კლასტერებმა, აგენტურული ოპოზიციის მთლიანმა ნაწილმა, მთელმა შემადგენლობამ მხარი არ დაუჭირა ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონმდებლობას, ისევე, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებებს არ დაუჭერენ მხარს, წინასწარ ვიცით".

ჰომოფობიური კანონი, როგორც "ბავშვთა დაცვის ინსტრუმენტი"

ქართული ოცნების წარმომადგენლების მხრიდან ჟღერდებოდა ისიც, რომ ოპოზიციას სურს "ლგბტ პროპაგანდა" სკოლებსა და ბაღებში. მაგალითად, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: "ისინი ამბობენ, რომ სკოლებში, ბაღებში არასრულწლოვანებთან უნდა მიდიოდეს პროპაგანდა ლგბტ საკითხებზე; ისინი ამბობენ, რომ უნდა იყოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება დასაშვები; ისინი ამბობენ, რომ ერთნაირსქესიან წყვილებს უნდა შეეძლოთ ბავშვების შვილად აყვანა. ეს მათი იდეოლოგიაა. ლელო, ნაციონალური მოძრაობა, სხვები, ვინც არიან, ყველას იდეოლოგია არის ლგბტ პროპაგანდის წახალისება საქართველოში. რა თქმა უნდა, როდესაც მათ წახალისება უნდათ, ამის შემაკავებელ კანონს მხარს ვერ დაუჭერენ. ამიტომ, 26 ოქტომბერს ქართული საზოგადოებისგან ამაზეც მიიღებენ პასუხს. პასუხს იმაზე, რატომ უნდა იყოს დაშვებული ერთნაირსქესიანთა ქორწინება ან სამო-

"ბავშვების დაცვის" ნარატივი

"არასრულწლოვანების დაცვა" VS "ბავშვების გარყვნა"

"ბავშვების აღზრდა ტრადიციული, ქართული ღირებულებებით" VS "პროპაგანდა სკოლებსა და ბაღებში"

შალვა პაპუაშვილი:

ისინი ამბობენ, რომ სკოლებში, ბაღებში არასრულწლოვანებთან უნდა მიდიოდეს პროპაგანდა ლგბტ საკითხებზე; ისინი ამბობენ, რომ უნდა იყოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება დასაშვები; ისინი ამბობენ, რომ ერთნაირსქესიან წყვილებს უნდა შეეძლოთ ბავშვების შვილად აყვანა. ეს მათი იდეოლოგიაა.

გურამ მაჭარაშვილი:

გვინდა ჯერ კანონის დონეზე, შემდეგ საკონსტიტუციო დონეზე გავამყაროთ ქალის და კაცის ოჯახური ღირებულებები და ჩვენი არასრულწლოვნები დავიცვათ ამ უბედური სენისგან.

თენგიზ შარმანაშვილი:

მთელს მსოფლიოში ძალიან დიდ ნაწილში არასრულწლოვნების ტვინის გამორეცხვას იწყებენ. შეაღწიეს სკოლებში, შეაღწიეს საბავშვო ბაღებშიც კი, სადაც შეაქვთ ეს სააგიტაციო მასალები ელჯიბიტი პროპაგანდის, ასევე, შეაქვთ სქესის შეცვლის მანიპულაციასთან დაკავშირებული ლიტერატურა და ამის აგიტაციას ეწევიან. ჩვენთან იკრძალება პროპაგანდა.

დავით კაჭარავა:

ანტი ლგბტ კანონი ჩვენი ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს. ის იცავს ჩვენს ტრადიციებს და ქართველ არასრულწლოვანებს.

ირაკლი კობახიძე:

ერთადერთი მიზანი არის ტრადიციული ფასეულობების და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა, მეტს არაფერს არ ეხება ეს კანონი და არ შეიძლება ეს კანონი რაიმე ფორმით ენინააღმდეგებოდეს ევროკავშირის პრინციპებს ან ამერიკის სულისკვეთებას და თუ ეწინააღმდეგება, მაშინ იქ ყოფილა პრობლემა.

ბიძინა ივანიშვილი:

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქართველი ხალხის ურყევ ნებას აუცილებლად ავსახავთ კონსტიტუციაში და არასრულწლოვანთა ინტერესებს თუ ოჯახურ ღირებულებებს კიდევ უფრო მტკიცედ დავიცავთ.

ქალაქო პარტნიორობა? რატომ უნდა იყოს დაშვებული შვილად აყვანა? რატომ უნდა იყოს დაშვებული სკოლებსა თუ ბაღებში? ერთ-ერთ უცხოური ორგანიზაციიდან წერილშიც იყო აღნიშნული, რომ ეს გამოხატვის თავისუფლებაა და დაშვებული უნდა იყოს ლგბტ თემების გაშლა ბავშვებთან".

დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაციის მცდელობა

ხალხის ძალისა და ქართული ოცნების წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების განცხადებებს ჰომოფობიურ კანონთან დაკავშირებით და ავრცელებდნენ ანტიდასავლურ ნარატივებს.

"მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ევროკავშირსა და ამერიკაში უკვე აღარ მალავენ იმ რეალურ მიზეზებს, რის გამოც ჩვენი ქვეყანა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დემოკრატიულ უკუსვლაშია დადანაშაულებული და ევროინტეგრაციის პროცესი გაყინულია. ეს არის ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა, შავი ფულით მომუშავე აგენტურული NGO-ებისათვის გამჭვირვალობის მოთხოვნა, რუსეთის მიმართ სანქციების არდაწესება და უარის თქმა მეორე ფრონტის გახსნასა და საომარ მოქმედებებში ჩართვაზე. [...] ჩვენი ქვეყნისგან დღეს კონკრეტულ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს, ლგბტ პროპაგანდის ხელშეწყობას, რუსეთისთვის სანქციების დაწესებას და მეორე ფრონტს ითხოვენ", — აღნიშნა ხალხის ძალამ თავის განცხადებაში. ამავე პარტიის წევრმა, დავით ქართველიშვილმა კი განაცხადა, რომ ამერიკაში ხდება ქვიარ თემის დევნა და საქართველოსკენ არ უნდა იშვერდნენ ხელს.

ხალხის ძალის ლიდერები არც სხვა ქვეყნის ოფიციალური პირების შეურაცხყოფას ერიდებოდნენ. მაგალითად, გურამ მაჭარაშვილმა ჰომოფობიური განცხადება გააკეთა, რომ "მიხაილ როთი არის ოფიციალურად გათხოვილი კაცი, რომელიც ოპოზიციას სათავეში უდგას ლგბტ დროშით. ამას ვამბობდით ზუსტად ჩვენ, რომ რადი-

კალური ოპოზიცია მხარს უჭერს საქართველოს “გაელგებეტებას” ლგბტ დროშით და ჩვენ გვინდა ტრადიციების დაცვა ეროვნული დროშით. 26 ოქტომბერს ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას”.

საქართველოს პრემიერმინისტრის, ირაკლი კობახიძის თქმით კი, “როდესაც ევროკავშირის ერთ-ერთი ჩინოსანი გამოდის და აკრიტიკებს კანონს, რომლის ერთადერთი მიზანი არის ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვა (არავითარი ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე, ამ კანონპროექტში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ლგბტ პროპაგანდის, ფსევდო ლიბერალური პროპაგანდის შეზღუდვაზე), როდესაც ასეთ კანონპროექტთან დაკავშირებით ისმის შეშფოთება, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლის მხრიდან, ეს არის ჩვენთვის უკიდურესად შემაშფოთებელი. ჩვენთვის ევროპა ნიშნავს სწორედ რომ ტრადიციულ ფასეულობებს, ქრისტიანულ ფასეულობებს და თუ ვინმეს სხვანაირად უნდა წარმოაჩინოს ევროპა, ეს არის ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი”.

დასავლეთის დისკრედიტაციის ნარატივები

"ეროვნული მთავრობა", "ქვეყნის ინტერესების დაცვა"	VS	"უცხოური ძალები" / "გლობალური ომის პარტია"
"ქრისტიანული ფასეულობების დაცვა"	VS	"ეკლესიის გმობა"
"ქართული ღირებულებები"	VS	"ანტიქართული იდეოლოგია"
"საქართველოს დამოუკიდებლობა"	VS	"ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების გმობა"

გურამ მაჭარაშვილი:

მართალია, 33 წელია საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელია, თუმცა ახლა უკვე უცხოური ძალების თავსმოხვეული ანტიქართული და ანტიეკლესიური იდეოლოგიის წყალობით, სამტკიცებელი გახდა ისეთი ბანალური ჭეშმარიტებები, როგორიცაა ოჯახური ღირებულება, ქალის ქალად ყოფნა და კაცის კაცად ყოფნა, ეკლესიის, როგორც საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებლის პატივისცემა.

შალვა ჰაკუაშვილი:

26 ოქტომბერი დამოუკიდებლობის მეორე რეფერენდუმია, რომელზეც ქართველმა ხალხმა იმდენად მძლავრად უნდა თქვას, რომ ვირჩევთ მშვიდობას და არა ომს, ოჯახურ ღირებულებებს და არა ელგებეტე პროპაგანდას, სარწმუნოების პატივისცემას და არა ეკლესიის გმობას, რომ ვერავინ ვეღარასდროს გაბედოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ქართველი ხალხის სახელით საუბარი.

ბექა ოდიშარია:

ხაზი გადის სწორედ ქრისტიანული ფასეულობების დაცვაზე, ოჯახური ღირებულებების, ქართული ტრადიციების გადარჩენაზე, ელჯიბიტი პროპაგანდის ამ აგრესიული ნარატივის აკრძალვაზე.

დასავლეთის დისკრედიტაციის ნარატივები

"ეროვნული მთავრობა", "ქვეყნის ინტერესების დაცვა"	VS	"უცხოური ძალები" / "გლობალური ომის პარტია"
"ქრისტიანული ფასეულობების დაცვა"	VS	"ეკლესიის გმობა"
"ქართული ღირებულებები"	VS	"ანტიქართული იდეოლოგია"
"საქართველოს დამოუკიდებლობა"	VS	"ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების გმობა"

ირაკლი ზარქუა

[გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხაილ როთის შესახებ]: "ჩვენთან არ არის ჩამოსული – მისი ღირებულებებით და ტრადიციებით ალბათ გვარამიასთან, მელიასთან და „ჩახდილებთან" არის ჩამოსული. მათთან საერთო ღირებულებები აქვს, რაც არის ლგბტ პროპაგანდა. ქართულ ტრადიციებთან როთისნაირ კაცებს თუ პოლიტიკოსებს საერთო არაფერი აქვთ.

გურამ მაჭარაშვილი:

ეს თავსმოხვეული კანონები, მათ შორის, ვენეციის კომისიის სამწუხარო დასკვნა, პირდაპირ გვეუბნებიან, ქალი და კაცი ამოშალე და ჩაწერე კაცის და კაცის ქორწინება, პირდაპირ გვეუბნება, ამაზე მეტი ზეწოლა რა შეიძლება არსებობდეს.

შალვა პაპუაშვილი:

ხაზი გადის სწორედ ქრისტიანული ფასეულობების დაცვაზე, ოჯახური ღირებულებების, ქართული ტრადიციების გადარჩენაზე, ელჯიბიტი პროპაგანდის ამ აგრესიული ნარატივის აკრძალვაზე.

ქვიარფობია, როგორც საარჩევნო დაპირება

როგორც უკვე აღინიშნა, ჰომოფობიური და ცენზურის დამწესებელი კანონი ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ხაზად იქცა.

წინასაარჩევნოდ მიღებული ჰომოფობიური საკანონმდებლო პაკეტი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, რადგან არის დისკრიმინაციული და ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ არაერთ უფლებას. მმართველმა პარტიამ ჰომოფობია საარჩევნო დაპირებად აქცია და ამომრჩეველს აიმედებდა, რომ მსგავსი შინაარსის ცვლილებები შევიდოდა საქართველოს კონსტიტუციაშიც, თუ მათ საკონსტიტუციო უმრავლესობით აირჩევდნენ. საარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო ქვეყნის მასშტაბით გამართული საჯარო განხილვებიც, რომელიც მმართველი პარტიის მიერ წარდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირდებოდა.

საკონსტიტუციო ცვლილებები ქართულმა ოცნებამ 25 მარტს წარადგინა. მმართველი პარტიის შემოთავაზება იყო საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს დამატებოდა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი – "ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია". საჯარო განხილვების ფორმატით, ქართული ოცნების ლიდერები ასობით მოქალაქეს შეხვდნენ საქართველოს მასშტაბით. შეხვედრებზე შეუნიღბავი ჰომოფობიით, ხშირად ფაქტების დამახინჯებით და მანიპულაციით, მმართველი პარტიის ლიდერები მოქალაქეების მათი მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ.

"ბრძოლით გასატანი სხვა საკითხებიც ბევრი გვაქვს. მაგალითად, ყველასთვის ცნობილია და ამაზე ბევრს ვსაუბრობთ ხოლმე, რომ დღეს, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ელგებეტე პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაა და ამ თემაზე უკვე ვეღარც გვეკამათებიან, მაგრამ ცდილობენ, მისი მნიშვნელობა დააკნინონ. სინამდვი-

ლეში, ის, რაც ვერ მოახერხა ვერც ერთმა დამპყრობელმა საქართველოში, რომ გადაეშენებინა ქართველი ერი, შეიძლება სულ რამდენიმე თაობაში მოახერხონ ამ გზით და ამიტომ, ამას განსაკუთრებულად უნდა აღვუდგეთ წინ. ვერ დავაცდენინეთ ჩვენს ოპონენტებს რომ ეს ცუდია, აიგნორებენ ამ საკითხს, იმიტომ, რომ შიგნით ხალხის, თქვენი ეშინიათ და გარეთ — მათი პატრონების. ეს ერთ-ერთი საკითხია, რატომაც ხალხმა საკონსტიტუციო უმრავლესობის ლეგიტიმაცია უნდა მოგვანიჭოს", — განაცხადა მამუკა მდინარაძემ ოზურგეთში გამართულ პარტიულ ღონისძიებაზე.

პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ კი, 19 სექტემბერს, რუსთავში გამართულ შეხვედრაზე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: "ქართული ოცნების მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ ჩვენი ხალხისთვის ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის თავს მოხვევის, ჩვენი ღირებულებების, კულტურისა და ისტორიის შეურაცხყოფისა და დაკნინების ყველა ძალადობრივ მცდელობას!"

ქართული ოცნების თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა, ქუთაისში პარტიის საარჩევნო შეხვედრაზე გააჟღერა ჰომოფობიური და ანტიდასავლური გზავნილები: "26 ოქტომბერს ჩვენ უარი უნდა ვუთხრათ ომს, უარი უნდა ვუთხრათ ქაოსს, უარი უნდა ვუთხრათ უცხო ქვეყნების ჩარევას ჩვენს შიდა საქმეებში. არა უნდა ვუთხრათ უცხოელი პოლიტიკოსების ჩარევას ქართულ პოლიტიკაში, მათი ჭკუის სწავლებას. ჩვენ უარი უნდა ვუთხრათ აღვირახსნილი ელგებეტე პროპაგანდის დაკანონების მცდელობას ბაღებსა და სკოლებში. ჩვენ არა უნდა ვუთხრათ ბოროტი აგენტურის დაბრუნებას ხელისუფლებაში".

ამავე დღეს ჰომოფობიურ კანონზე ისაუბრა პარტიის საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა. მისი მხრიდანაც გაჟღერდა ანტიდასავლური ნარატივები. გარდა ამისა, მან სცადა ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაცია, თითქოს ისინი ებრძვიან ტრადიციულ ღირებულებებს. "ერის მთავარი დასაყრდენი ის ღირებულებები და ფასეულობებია, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში შემოგვინახეს. საქართველოში მოქ-

მედ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებში გაბნეული ფსევდო-ლიბერალური აგენტურის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ ეს არის. მათ ზუსტად იციან, რომ ერის დაკნინება და მარტივად დამორჩილება მხოლოდ საკუთარი წარსულის დავიწყებით, ისტორიის გაუფასურებითა და მორალური პრინციპების გაბუნდოვნების გზით არის შესაძლებელი. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება, რათა არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხი კონსტიტუციის დონეზე გავამყაროთ".

აშკარაა, რომ ამ განცხადებით, ივანიშვილი ცდილობს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები ქართულ ტრადიციებს, ისტორიას ებრძვიან. მეორე მხრივ კი, ბავშვებისა და ოჯახის დაცვის საბაბით სურს გაამართლოს ჰომოფობიური კანონის მიღება. ახალი არ არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნის ისტორიას და კულტურას, ტრადიციებს, ოჯახურ ღირებულებებს მთავარ საყრდენად მიიჩნევს, შესაბამისად, ამ ყველაფრის "დაკარგვის" საფრთხე, სავარაუდოა, რომ მათზე გავლენას მოახდენს.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი არ მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პროექტს, თუმცა არც ვეტო გამოიყენა. შესაბამისად, ცვლილებებზე ხელმოწერა პარლამენტის თავმჯდომარეს, შალვა პაპუაშვილს მოუწია, რომელმაც კვლავ გამოიყენა აღნიშნული საკითხი წინასაარჩევნოდ და შემდეგი განცხადება გააკეთა: "დღეს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ხელს ვაწერ "ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" კანონს, რომელსაც ხელი არ მოაწერა სალომე ზურაბიშვილმა. სიმბოლურია, რომ უსამშობლო და ღირებულება დაკარგული ოპოზიციის ნომინალური ლიდერი, რომლადაც იქცა მილევადი პრეზიდენტი, უარს ამბობს ხელი მოაწეროს კანონს, რომელიც იცავს ადამიანისათვის ყველაზე ღირებულს — ოჯახსა და ბავშვებს. ამ უარიდან კარგად ჩანს, სად დგას სალომე ზურაბიშვილი და სად დგანან მას ამოფარებული უსამშობლო

ოპოზიციონერები, რომლებსაც იმდენი გამბედაობაც არ აღმოაჩ-ნდათ, რომ ღიად გამოეხატათ აზრი ამ კანონთან დაკავშირებით და სამარცხვინოდ გაიპარნენ დარბაზიდან კანონზე კენჭისყრის დროს".

პრეზიდენტის მიმართ მსგავსი შეფასებები გაკეთდა ქართული ოცნების სხვა წარმომადგენლების მხრიდან. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სალომე ზურაბიშვილმა ვერ გაბედა ვეტო დაედო კანონისთ-ვის, რადგან საზოგადოებისგან უარყოფითი რეაქციის შეეშინდა. მაგალითად, ირაკლი კობახიძემ განაცხადა: "სალომე ზურაბიშვი-ლი, ისევე, როგორც მთლიანად რადიკალური ოპოზიცია, დადგა ლგბტ პროპაგანდის მხარეს. ეს არის მათი არჩევანი. უფრო სწო-რად, ეს არის არა მათი არჩევანი, არამედ მათი დავალება. ახლა არის საარჩევნო პერიოდი და ყველამ იცის ძალიან კარგად, რომ საზოგადოების 90%-ზე მეტი მხარდაჭერა აქვს ამ კანონს. 92% და-ფიქსირდა ბოლო კვლევაში ამ კანონის მიმართ მხარდაჭერა. რო-დესაც ასეთ დროსაც შენ ვერ ახერხებ დადგე ისეთ მხარეს, სადაც დგას საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ მოქმედებ მხოლოდ დავალებებით და არა საკუთარი ხალხის ინტერესების შესაბამისად".

მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ქართული ოცნება და მასთან და-კავშირებული პირები ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ რიტორიკას ასევე აქტიურად იყენებდნენ პრეზიდენტის წინააღმ-დეგ. ისინი სალომე ზურაბიშვილს ქვიარ უფლებების დამცველად წარმოაჩენდნენ და ამ გზით ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას.

პრეზიდენტის დისკრედიტაციის მცდელობა ქვიარების უფლებების ინსტრუმენტალიზაციის გზით

ირაკლი კობახიძე:

სალომე ზურაბიშვილი, ისევე, როგორც მთლიანად რადიკალური ოპოზიცია, დადგა ლგბტ პროპაგანდის მხარეს. ეს არის მათი არჩევანი. უფრო სწორად, ეს არის არა მათი არჩევანი, არამედ მათი დავალება.

მამუკა მდინარაძე

მას დასავლელ პარტნიორებთან კი არ აქვს მჭიდრო კავშირი, მას მჭიდრო კავშირი აქვს რეალურად თავის პატრონებთან. როცა ტვ პირველი, მთავარი არხი, აღშფოთებული ფორმულა, ფსევდოლიბერალური ოპოზიციის წარმომადგენლები, ლგბტ პროპაგანდის რეალური მხარდამჭერები, სალომე ზურაბიშვილი, აგენტურული ოპოზიცია სიტყვებსაც კი არ ცვლიან ხანდახან და ერთი და იგივე მესიჯბოქსით ლაპარაკობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხს, ყველას ერთად ჰყავს ერთი პატრონი და ეს მარტივად იშიფრება. როდესაც ამ პატრონის ხელდასმით ის რაღაცას აკეთებს, მაშინ შეირგოს სიტყვა აგენტიც.

ზურაბ ქადაგიძე

რეალურად, სალომე ზურაბიშვილი გერმანიაში დაიბარეს იმის გამო, რომ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონზე ხელი არ მოეწერა.

ირაკლი კობახიძე:

ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილი დადგა არატრადიციული ფასეულობების დაცვის მხარეს, არა ოჯახური ფასეულობების დაცვის მხარეს, არა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მხარეს, არამედ დადგა ფსევდო-ლიბერალური პროპაგანდის მხარეს, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რა პოლიტიკური არჩევანი გააკეთა ადამიანმა.

ჰომოფობიური კანონის მიღების პარალელურად, ქართული ოცნება ცდილობდა ქვიარ ადამიანების ინსტრუმენტალიზაციას და მათი უფლებების დაცვის საკითხს ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის მიზნითაც იყენებდა. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ სამოქალაქო სექტორის მიერ დაგეგმილ 20 ოქტომბრის აქციასთან, სახელწოდებით "საქართველო ირჩევს ევროკავშირს" დაკავშირებულ გამოხმაურებებში გამოჩნდა.

ქართული ოცნების წარმომადგენლები ამ აქციას, დისკრედიტაციის მიზნით, "პრაიდს" უწოდებდნენ. მაგალითად, ირაკლი ზარქუამ განაცხადა: "დღეს დაანონსებულია ელგებეტე პრაიდი, თუ მსვლელობა, თუ რას ეძახიან არ ვიცი. სწორედ ამ მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენი რადიკალები ეძახიან, ეპატიჟებიან თავიანთ მხარდამჭერებს. სხვათა შორის, მცდელობაც იყო, წალენჯიხიდან რამდენიმე ავტობუსი წაეყვანათ და თუ არ ვცდები, ცარიელი წავიდა ნახევრად და თვითონ გაავსეს მერე, რაღაც სურათი დადგა. ხოდა, რატომ უნდა აკადრო ამომრჩეველს, შეცდომაში შეიყვანე გავიგე და ახლა ეპატიჟები პრაიდის ღონისძიებაზე, ელგებეტე პრაიდის ღონისძიებაზე. ამიტომაც არის პანტაპუნტით რომ ტოვებენ შემდეგ ხან გახარიას, ხან ლელოს, ხან ნაციონალურ მოძრაობას მხარდამჭერები".

აქციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ცრუ ინფორმაცია გაავრცელა გურამ მაჭარაშვილმა: "როდესაც "თბილისი პრაიდი" კაცების გათხოვების დაკანონების მოთხოვნით აქციას აორგანიზებს, რა არის გასაკვირი, რომ იქ საზოგადოების უმრავლესობა არ მივიდეს?!".

გურამ მაჭარაშვილს ეკუთვნის ასევე ეს წინადადება: "ჩვენ ვიცავთ ოჯახურ ღირებულებებს, ვიცავთ მშვიდობას, ოპოზიცია იცავს ელგებეტე ღირებულებებს და უნდა ომი".

ქალთა უფლებები, სექსიზმი და დისკრიმინაციული ენა

სექსიზმი არის ადამიანების დისკრიმინაცია გენდერისა თუ სქესის საფუძველზე. სწორედ სექსიზმია გენდერული უთანასწორობის მთავარი გამომწვევი მიზეზი. ქალების მიმართ უნდობლობით, სიძულვილითა და უარყოფითად წინასწარგანწყობილ საზოგადოებაში, რომელშიც კაცები დომინირებენ, ხოლო ქალები სძულთ, სექსიზმით მეტწილად ქალები და გოგოები ზარალდებიან.

სექსიზმი ემყარება რწმენას, რომლის თანახმადაც, სქესთა შორის არსებულმა ფიზიკურად გამოხატულმა, თანდაყოლილმა განსხვავებებმა უნდა განაპირობოს ერთმანეთისგან განსხვავებული ქცევა. როგორც წესი, ეს განსხვავებულობა კაცებისთვის პრივილეგიებს და ქალებისთვის შესაძლებლობებთან წვდომის შეზღუდვას უკავშირდება.

სექსიზმი, ისევე როგორც დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმა, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მის სამიზნეს. იგი ასევე დამაზიანებელია საზოგადოების ყველა წევრისთვის, რადგან ართმევს უფლებას, იარსებოს თანასწორ საზოგადოებაში, სადაც ყველას უფლება დაცულია, განურჩევლად გენდერისა თუ სხვა ნიშნებისა.

მართალია, წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში მთავარი გზავნილები ჰომოფობიური იყო, თუმცა როგორც სხვა წლებში[9], არც ახლა ჩაუვლია ამ პერიოდს სექსისტური განცხადებების გარეშე. იყო შემთხვევები, როცა ამ პროცესში მონაწილეობდნენ ქალებიც.

მაგალითად, 26 აგვისტოს, იმჟამინდელმა კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ფეისბუქზე გამოაქვეყნა სექსისტური პოსტი, სადაც სიძულვილის ენით საუბრობს პოლიტიკოს ქალებზე. აღნიშნული პოსტით მინისტრი გამოეხმაურა ანა დოლიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ “ქართულ ოცნებას ეზიზღება ძლიერი ქალები“.

9. წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში — მედიის განვითარების ფონდი (2020)

მინისტრი წერდა: “თქვენ პირადად პოლიტიკაში ემბრიონად თუ იყავით მხოლოდ ჩასახული, როცა ბიძინა ივანიშვილი ქალებს ნიშნავდა კანდიდატებად და თანამდებობებზე და შემოჰქონდა კვოტები. მაგრამ ვიღაც წითლიძეების, უმადური და უნიჭო პოლიტიკოსი კორძაიების, ლამაზი თინიკოების, ლუზერი სალომეების (ამჯერად დეპუტატკაზე ვამბობ) და ასეთი საოცრებების მოხილვის მერე, აღარც პოლიტიკაში ქალის მხარდაჭერა მოგინდება ადამიანს (ანუ კაცს) და აღარც კვოტის. ასეა ეს. კეტავენ გოგოებისთვის პოლიტიკაში გზას ეს უმსგავსოები. კუბოზე გვირგვინი (ვენოკი ჰქვია “იმ” კანონის მიღების მერე!) გამომრჩა: ანა ნაცვლიშვილი... კარგად კივილი სუქსესსფულნესობას როდი ნიშნავს პოლიტიკაში, თორემ სუ ზეწარმატებული იქნებოდა ჩვენი ვარდივით დამჭნარი და კვლავაც ლამაზი დიაცის უბე თაკო ჩარკვიანი... ვაი იმ კვოტას, ვიღაც წითლიძეს (შეიძლება გვარიც მეშლება) ან კიდევ დამჭნარ და მაინც მშვენიერ თაკოს, ვარდიც რომ ვერ იშოვა, თავი რომ სხვა რამე ეგონოს, რომ შეიყვანს პარლამენტში”.

ამ განცხადებით თეა წულუკიანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქალი პოლიტიკოსების ცოდნას, წარმატებას, უწოდებს მათ “უმსგავსოებს”, ახდენს ობიექტივაციას მათ გარეგნობაზე მითითებით. მინისტრის განცხადებამ წაახალისა სექსისტური დამოკიდებულებები, დაყო ქალები “უნიჭოებად”, “ლამაზებად”, “ლუზერებად” და ა.შ. ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს ქალების მიმართ არსებული მავნე სტერეოტიპების გაძლიერებას და თავდაჯერებას უკარგავს ქალებს, რომლებიც სექსიზმის სამიზნეები გახდნენ. თეა წულუკიანის ეს განცხადება სხვადასხვა მედიაში სხვადასხვა ფორმით გაშუქდა. მას დისკრიმინაციული და სექსისტური განცხადებების ადრესატი პოლიტიკოსი ქალები გამოეხმაურნენ. პარტია “კანონი და სამართლის“ ლიდერმა, თაკო ჩარკვიანმა მას ჰომოფობიური კომენტარით უპასუხა: “სულ მეჩხუბება, კაცო, ეს ქალი რატო დაბერდიო? დავბერდი და რა ვქნა ახლა. ვბერდებით, ზოგადად, ადამიანები. რაიმე გარკვევა ხომ არ სჭირდება თავად ქალბატონი თეას ორიენტაციას? და მძიმედ ხომ არ აქვს. იმიტომ, რომ მე ჯერ პრაქტიკაში არ შემხვედრია, რომ ქალს, ჩემი სქესის წარმომადგენელს, უბეში ჩაეხედოს“.

თეონა აქუბარდიამ კი ამავე განცხადებაზე გამოხმაურებაში აღნიშნა: “ის, რომ ე.წ. დელეგატებიდან, რომელიც მაჟორიტარობის რეინკარნაციაა, არცერთი ქალი არ ჰყავთ, მე მახსენებს ბიძინა ივანიშვილის ე.წ. ხუმრობას — “ქალო შედი ბუტკაში”. როგორც ჩანს, ივანიშვილი, რომელიც შუშის ბუტკიდან ელაპარაკება ხალხს და ქალბატონი წულუკიანი, რომელსაც თავი ბუტკაში ჰგონია, აგრძელებს ამ თავდასხმების სერიას”.

3 სექტემბერს პარტიულ ღონისძიებაზე, სექსისტური და დისკრიმინაციული განცხადება გააკეთა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, ლაშა ბაქრაძემ: „არჩევანი არის ძალიან ადვილი გასაკეთებელი, მით უმეტეს, როდესაც შეხედავთ, როგორი ქალები დგანან ჩვენ გვერდით. დღეს თქვენ დაინახეთ ქალბატონი თინა, თამარი, სოფო. აი, ასეთ ადამიანებს გთავაზობთ ჩვენ დღეს და არა, ბოდიშით და, იმ “ნახმარ სახეებს“, რომლებიც აქვთ ქართული ოცნების წარმომადგენლებს“.

ამ განცხადების შემდეგ, ტრიბუნასთან პარტიის კიდევ ორი წარმომადგენელი გამოვიდა, თუმცა, სექსისტურ განცხადებას არავინ გამიჯვნია და არც სხვა კომენტარი გაუკეთებია ამ თემაზე. განცხადების კრიტიკისას თავადაც სექსისტური ფრაზები გამოიყენეს ქართული ოცნების წარმომადგენლებმა. ლევან მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ “არც ზრდილობიანია ეს, არც მორალური და არც კაცურში არ ჯდება”. აღნიშნული განცხადებას ამორალური და არაკაცური უწოდა მამუკა მდინარაძემაც.

მოგვიანებით ლაშა ბაქრაძის “დაცვა” თანაპარტიელებმა სცადეს. მაგალითად, გია ჯაფარიძემ აღნიშნა: “როგორ შეიძლება ქართული ოცნება ლაპარაკობდეს ვინმეს ეთიკაზე და მორალზე. ეთიკაზე და მორალზე შეიძლება ლაპარაკობდეს მხოლოდ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც გააჩნია მორალური და ეთიკური კრიტერიუმები”.

ლაშა ბაქრაძის განცხადება გააკრიტიკა თეონა აქუბარდიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ “ეს განცხადება არის გენდერული ნიშნით თავდასხმა, რაც ასუსტებს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში და

უქმნის საფრთხეს დემოკრატიას. დემოკრატიის საფრთხის შექმნა ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორც ნაციონალური მოძრაობიდან, ასევე, ქართული ოცნების მხრიდან. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ შევძლოთ იმ დოზით არჩევნებში გამარჯვების მიღება, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა წარსულს ჩავაბაროთ". იაგო ხვიჩიამ კი განაცხადა: "მოდი, ეხლა ერთხელ ვაპატიოთ ბატონ ლაშას და იქნებ გაითვალისწინოს მეორეჯერ, რომ ნაცობა ადეკვატურობის დაკარგვას არ ნიშნავს".

4 სექტემბერს ლაშა ბაქრაძემ საკუთარი განცხადება ასე განმარტა: "ერთ მხარეს ჩვენი ქალები ვახსენე, რომ ასეთი ნათელი სახეებია ჩვენს მხარეს და მეორე მხარეს საერთოდ ქალებთან დაკავშირებით არც მიფიქრია, ვიგულისხმე, რომ არის უინტერესო, უღიმღამო, შეგვიძლია ვთქვათ, გაცვეთილი სახეები ქართული ოცნების. აი, ამას ვგულისხმობდი. მეტს არაფერს".

პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ქალის სექსუალობა ტაბუირებულია, ხოლო თავად ქალს წარმოაჩენენ ობიექტად, რომელიც უნდა "გამოიყენო", სიტყვა "ნახმარი" ქალების დაკნინებას, დამცირებას უწყობს ხელს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სლენგში ამ სიტყვას ხშირად იყენებენ სექსუალური ურთიერთობის გამოცდილების მქონე ქალების აღსანიშნავად და მათი დარცხვენის მიზნით. მონიტორინგის შეფასებით, ლაშა ბაქრაძის ამ განცხადებამ ხელი შეუწყო დისკრიმინაციული მოსაზრებების გავრცელებას, მით უფრო, რომ მან საპასუხო კომენტარი მხოლოდ მეორე დღეს, ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ გააკეთა.

3 ოქტომბერს მარშალპრესმა გააშუქა ქართული ოცნების პარტიული სიის 104-ე ნომრის, ზურაბ ქადაგიძის სიძულვილის ენის შემცველი, მიზოგინიური განცხადება სალომე ზურაბიშვილის მიმართ. მან სოციალურ ქსელში დაწერა: "დედალი ორჯონიკიძეა, ეს გენმოდიფიცირებული!".

7 ოქტომბერს Kvira.ge-მ გამოაქვეყნა ქართული ოცნების პარტიული სიის 72-ე ნომრის, ირაკლი ზარქუას განცხადება, რომელიც სექსისტურ და ჰომოფობიურ ნარატივებს შეიცავს. დაკნინების

მიზნით, ის სალომე ზურაბიშვილს მოიხსენიებს “მადამ მავნებ-ლად” და ჰომოფობიურ კანონზე ხელის არ მოწერას მისი დისკრე-დიტაციისთვის იყენებს.

“კონსტიტუციის დამრღვევი ე.წ. პრეზიდენტი მადამ მავნებელი გახდა, ის არ არის საქართველოს ინტერესების გამომხატველი, ამიტომაც ვზღუდავთ. [...] ასევე, ხელს არ აწერდა და ბოლოს ვა-იძულეთ, რომ ამნისტიაზე ხელი მოეწერა. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებულ კანონს საერთოდ არ მოაწერა ხელი, ეს ყველაფერი მავნებლობაა. ამიტომ, არ მივცემთ საშუალებას, ბი-ოგრაფიაში ჩაიწეროს, რომ პრეზიდენტად ყოფნის ექვსწლიანი ვადა ამოწურა. ის ისეთი სტატუსით უნდა წავიდეს, რომ საქართვე-ლოს მოსახლეობამ და მოსახლეობის მიერ ლეგიტიმურად არჩე-ულმა პარლამენტმა გადააყენა”.

საანგარიშო პერიოდში ნაკლებად გვხვდებოდა პოლიტიკოსების კომენტარები ქალების უფლებების შესახებ, მათ შორის, არც რო-გორც წინასაარჩევნო კამპანიების ნაწილი. პოლიტიკური პარტი-ების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიების ოცეულებში რაოდენო-ბის მიხედვით კაცები ჭარბობდნენ ქალებს.

4 ოქტომბერს, თავისუფლების მოედნის ფეისბუქ გვერდზე გამოქ-ვეყნდა პოსტი გენდერულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაზიარდა UN Woman-ის ვიდეო, რომელშიც კოალიცია ძლიერი საქართველოს წევრები: ფიქრია ჩიხრაძე, ანა დოლიძე და ირინე კურტანიძე მონაწილეობდნენ და საუბრობდნენ ქალი პოლიტიკოსების მიმართ არსებულ სექსიზმზე და გენდერულ სტე-რეოტიპებზე.

ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი დაპირება, მო-ნიტორინგის პერიოდში, გაჟღერდა პარტია “საქართველოსთვის” მხრიდან. კომენტარი ეხებოდა დეკრეტულ შვებულებას და ქალე-ბისა და კაცების ანაზღაურების დისბალანსს. დეკრეტულ შვებუ-ლებაზე ისაუბრეს კოალიცია “ძლიერი საქართველოს” ღონისძიე-ბაზეც.

2024 წლის აპრილში, “ქართული ოცნებისა” და “გირჩის” შეთანხმების შედეგად, პარლამენტში გაუქმდა გენდერული კვოტები, რომელიც 4 წლით ადრე, 2020 წელს თავად “ქართულმა ოცნებამ” მიიღო. ამ ჩანაწერის გაუქმებამდე პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იყვნენ, პროპორციულ პარტიულ სიებში სულ ცოტა ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის ყოფილიყო.

18 სექტემბერს პარლამენტში გენდერული კვოტების გაუქმების გადაწყვეტილებაზე და ქალთა მიმართ ძალადობაზე განცხადება გააკეთა თინა ბოკუჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ “ფემიციდი მზარდი პრობლემაა საქართველოში, რასაც ხელს უწყობს, მათ შორის, ჩემი აზრით, ის ძალადობრივი გარემო, რომელსაც ხელისუფლება ქმნის.” მან ასევე აღნიშნა, რომ “ძალიან მნიშვნელოვანია ქალების გაძლიერება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. იმისთვის, რომ ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული პოლიტიკაში, ამ მიმართულებით, მე ვფიქრობ, რომ კვოტირება ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ალბათ ერთადერთი პოზიტიური რამ, რასაც მეც პირადად მხარი დავუჭირე ქართული ოცნების პირობებში პარლამენტში, მაგრამ ესეც გააუქმეს. რატომ? იმიტომ რომ უნდათ გამოათავისუფლონ ადგილები თავიანთ სიაში მდიდარი, გავლენიანი კაცებისთვის, რომლებსაც კორუფციული გზებით აქვთ დაგროვილი ეს ქონება, რომ შემდგომ საარჩევნოდ გამოიყენონ. ამიტომ, კვოტირების სისტემის განახლება, ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე თავშესაფრები და თავშესაფრების გამართული მუშაობა მსხვერპლი ქალებისთვის — ესეც ძალიან მნიშვნელობანი კომპონენტია ამ პოლიტიკაში, მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, არის დროებითი რამ და ამასაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქალების ეკონომიკური გაძლიერება, ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა იმისთვის, რომ ამ დროებითი თავშესაფრიდან ქალმა შეძლოს დასაქმება, რეინტეგრაცია საზოგადოებაში და სრულფასოვნად ცხოვრება”.

ტრანსგენდერ ქალებზე ძალადობა და მკვლელობა

საანგარიშო პერიოდი დაემთხვა კესარია აბრამიძის მკვლელობას. ტრანსგენდერი ქალი პარლამენტში ჰომოფობიური კანონის მიღებიდან ერთ დღეში მოკლეს. პოლიტიკური პარტიების Facebook გვერდებზე ამასთან დაკავშირებით განცხადებები არ გაკეთებულა, თუმცა რამდენიმე პარტიის ცალკეულმა წევრმა პოზიცია დააფიქსირა.

მკვლელობას პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა პოსტით სოციალურ ქსელში: "საზარელი მკვლელობა! ადამიანურობის უარყოფა! ეს თუ გამოაფხიზლებს ჩვენ საზოგადოებას... სიძულვილში ჩაფლული, სიძულვილი, რომელიც მტერს აძლევს ყველა მანიპულაციის საშუალებას, რომელიც გვასუსტებს და გვაცალკაცებს. ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სიკვდილი ჩვენ გაადამიანურებას და გაქრისტიანებას მაინც გამოადგეს... ტყუილად არ ჩაიაროს ამ ტრაგედიამ!". ამასთან, პრეზიდენტი მივიდა კესარია აბრამიძის სამოქალაქო პანაშვიდზეც.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კესარია აბრამიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ამბობდნენ, რომ ეს არის ხელისუფლების მიერ წახალისებული ძალადობის შედეგი. მაგალითად, ირაკლი კუპრაძემ განაცხადა: "ყველას უნდა გვესმოდეს, რომ მსგავსი ტრაგედიები არის შედეგი იმ ძალადობრივი, ჰომოფობიური, თავსმოხვეული ნარატივისა, რომელიც ასაზრდოებს სიძულვილს და ზიზღს ამ ქვეყანაში და რაც მომდინარეობს ქართული ოცნების მხრიდან. ეს სიძულვილი, გათიშვა, დაპირისპირება, რაზეც დგას დღეს ქართული ოცნება, უნდა დასრულდეს 26 ოქტომბრის არჩევნებით, მათ შორის, და უნდა იყოს საკმარისი ტრაგედიები იმისთვის, რომ გავიაზროთ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა".

კესარია აბრამიძის მკვლელობას გამოეხმაურნენ ქართულ ოცნებაშიც, თუმცა მათ კომენტარები პერსონალურ ფეისბუქ გვერდებ-

ზე ან პირად ანგარიშებზე გაავრცელეს. ეს განცხადებები გაშუქდა მედიაშიც. მაგალითად, ნინო წილოსანმა სოციალურ ქსელში დაწერა: "ძალიან მიმძიმს მომხდარ ტრაგედიაზე საუბარი, სიტყვებს ვერ ვპოულობ... კესარია სავარაუდოდ საკუთარი პარტნიორისგან არაერთხელ იყო ძალადობის მსხვერპლი და ბოლოს, ეს ისტორიაც ასე სავალალოდ დასრულდა... მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია და დარწმუნებული ვარ მკაცრად დაისჯება, ფაქტს ხომ ვეღარაფერი შეცვლის, კესარია გარდაცვლილია... თანავუგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს და მეგობრებს". კესარია აბრამიძის მკვლელობის შემდეგ, საზოგადოებაში აქტიურად განიხილებოდა კავშირი ქართული ოცნების მიერ წინა დღეს მიღებულ ჰომოფობიურ კანონთან და, ზოგადად, ხელისუფლების აგრესიულ და ქვიარ ადამიანების უფლებების შემლახავ რიტორიკასთან. ამ შეფასებებს ხალხის ძალისა და ქართული ოცნების წევრები სოციალურ ქსელში გამოეხმაურნენ.

18 სექტემბერს, კესარია აბრამიძის მკვლელობის ამბის გახმაურების შემდეგ, გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხაელ როთმა სოციალურ ქსელში დაწერა: "კესარია მოკლეს სულ რაღაც 1 დღის შემდეგ, რაც საქართველოში ანტი-ლგბტ კანონი მიიღეს". მის განცხადებას გამოეხმაურა ხალხის ძალის წარმომადგენელი, ზურაბ ქადაგიძე: "რა საოცარი დამთხვევაა, რომ ეს ნაძირალა ჩამოვიდა, კანონი დაამუნათა, მთელ საქართველოს შეურაცხყოფა მიაყენა, გაგვაფრთხილა, რომ სასწრაფოდ გაიწვიეთ უკანო და კანონის მესამე მოსმენის დღეს, იმ საცოდავს კლავენ?! თან რა ბედნიერების ყიჟინა დასცა კოლექტიურმა ნაც-მოძრაობამ ნახეთ? ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ "ნარატივიც" კი გაშალეს – თურმე მკვლელსა და მოძალადეს კანონის არ არსებობა აკავებდა აქამდე და ახლა იმოქმედა... როგორ აყროლდით თქვე საცოდავებო, ნეტა იცოდეთ? ყველანაირ სიბინძურეს კადრულობთ და ადამიანურ უბედურებებსაც კი საკუთარი პოლიტიკური ბინძური ეგოს დასაკმაყოფილებლად იყენებთ! დარწმუნებული ვარ, ყველანაირ ბუნდოვანებას გასცემს პასუხს სამართალდამცავი უწყებები და თქვენი ბინძური "როთის ნარატივების" უკან მირთმევა მოგიწევთ!".

ქართული ოცნებიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგატმა ქობულეთში, ცოტნე ანანიძემ კი განაცხადა: "კესარიას მკვლელობას მაღალი ალბათობით ჰომოფობიის მოტივები არ აქვს და ნუ ცდილობთ პოლიტიკური მოტივებისა და წახალისების ძიებას! სამწუხაროა და დანაშაულია ადამიანის მკვლელობა, მიმდინარეობს გამოძიება და დამნაშავე დაისჯება!". პოსტი, რომელიც ანანიძემ ფეისბუქზე დაწერა, გამოცემა მარშალპრესმა ვებ გვერდზე გამოაქვეყნა.

ტელეკომპანია იმედმა გააშუქა ქართული ოცნების კიდევ ერთი წარმომადგენლის, მაკა ბოჭორიშვილის ფეისბუქ პოსტი: "კრიმინალს არ აქვს არც საზღვარი, არც ეროვნება, არც სქესი, არც რელიგიური კუთვნილება და არც პოლიტიკური გემოვნება. მკვლელი მკვლელია და მას კანონი გასცემს მკაცრ პასუხს. ამდენი სიძულვილით გაჟღენთილი ვითომ სიძულვილის გმობა, პოლიტიკით გაჯერებული სამძიმარი, ლოგიკური აზროვნებისგან ძალიან დაშორებული დასკვნების ასე თავდაჯერებულად კეთება როგორ შეგიძლიათ? სხვისკენ თითგაშვერილები თავად ახდენთ ადამიანების სტიგმატიზებასაც და დისკრიმინაციასაც. RIP კესარია".

საპარლამენტო თუ აჭარის უმაღლესი საბჭოს დონეზე იყო მცდელობა, კესარიას მკვლელობა არ დაკავშირებულიყო სისტემურ პრობლემებს და ლგბტქია+ თემის მიმართ არსებულ დისკრიმინაციას, არამედ ყოფითი ურთიერთობების პრობლემად დავიწროებულიყო და ისე წარმოჩენილიყო, თითქოს პოლიტიკურ ჰომოფობიას, ქვიარ თემის სისტემურ დისკრიმინაციასა და მკვლელობას შორის არავითარი კავშირი არ არის.

წინასაარჩევნო პერიოდში, 20 ოქტომბერს, თბილისში თავს დაესხნენ ტრანსგენდერ ქალს, ნატა ტალიკიშვილს. თავდასხმა მას შემდეგ მოხდა, რაც პროპაგანდისტულმა, პროსახელისუფლებო POSTV-მა გამოაქვეყნა სიძულვილის გამაღვივებელი, ტრანსფობიური ქვეტექსტის მქონე ფოტო პროევროპულ მარშთან დაკავშირებით. აქციას, სახელწოდებით "საქართველო ირჩევს ევროკავშირს", პროსახელისუფლებო არხი "ოპოზიციის პრაიდად" მოიხსენიებდა და წერდა, რომ მას "ცნობილი ტრანსგენდერები"

ესწრებოდნენ, მათ შორის, ნატა ტალიკიშვილი. ნატა მედიასთან ამბობდა, რომ უცნობი პირი მას თავს სწორედ მაშინ დაესხა, როცა აქციიდან ბრუნდებოდა. მისი ინფორმაციით, კაცი მას უკნიდან მიეპარა და თავში ქვა ჩაარტყა, შემდეგ კი წიხლი. ნატას თქმით, კაცს ტრანსფობიური, ჰომოფობიური და სიცოცხლის მოსპობის მუქარის შემცველი რეპლიკები ჰქონდა.

თავდასხმაში ბრალდებული პარტია ანა დოლიძე ხალხისთვის წევრი, დავით ფერაძე აღმოჩნდა, რომელიც კოალიცია ძლიერი საქართველოს საარჩევნო სიაშიც იყო. პარტიის ცნობით, ფერაძემ, ინციდენტამდე ერთი თვით ადრე, მათი რიგები თავად დატოვა, ხოლო მომხდართან დაკავშირებით მათ განცხადება გაავრცელეს და ძალადობას გაემიჯნენ. ფერაძე დააკავეს, თუმცა მან იზოლატორი გირაოს სანაცვლოდ დატოვა.

მედიაში გაშუქდა დავით ფერაძის განცხადება, რომლის მიხედვით: “თვითონ დამარტყა ჯერ ხელი, თავიდან. მეორე ხელი რომ წამოიღო და დავუკავე, ამ დროს ამოიღო სპრეი და მასხამდა თვალებში. მე მოგერიების ფარგლებში ვკარი ხელი. ჩემ ადვოკატთან ვგეგმავ, რა თქმა უნდა, სარჩელის შეტანას”.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ძირითადად, დაგმეს ნებისმიერი სახის ძალადობა, ხოლო ქართული ოცნების წარმომადგენლები შეეცადნენ აღნიშნული ფაქტი ოპონენტების საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ. მაგალითად, მარიამ ლაშხმა განაცხადა, რომ “როდესაც იცავ ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენელს და თან შენივე საპარლამენტო სიის გუნდის წევრი არის ამის წინააღმდეგი. [...] ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ყალბ ღირებულებებს, რასაც ვითომდა ისინი ემსახურებიან”. ნინო წილოსანმა კი აღნიშნა: “ვისმენთ და ვხედავთ, ჩვენი ოპონენტები, როგორი ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით გამოდიან სხვადასხვა ჯგუფის ადამიანების დასაცავად, მათ შორის, ლგბტ თემის ადამიანების დასაცავად, თუმცა ამის საპირისპიროდ მათივე სიის წევრები, ამ შემთხვევაში ლელოს სიის წევრზე არის საუბარი, სავარაუდოდ, ძალადობს ტრანსგენდერ ქალზე. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა. [...] ჯერჯერობით არავინ გვინახავს, მათივე რიგებიდან გა-

მოსულიყო და [...] მოეწოდებინა თავისივე წევრებისთვის, რომ [...] არანაირი ზიზღი და სიძულვილის გაღვივება და ამ გაღვივებაში მონაწილეობა არ არის სწორი".

პოსტსაარჩევნო პერიოდი

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ქართული ოცნების წარმომადგენლები აგრძელებდნენ ჰომოფობიური, შეურაცხმყოფელი და ანტიდასავლური ნარატივებისა თუ დეზინფორმაციის გავრცელებას. ისინი აცხადებდნენ, რომ ტრადიციული ფასეულობების დაცვა იყო მთავარი, რამაც ხელი შეუწყო მათი ამომრჩევლის მობილიზაციას.

მაგალითად, არჩევნების მეორე დღეს, 27 ოქტომბერს, ირაკლი კობახიძემ გამოყო ორი მთავარი გზავნილი, რამაც, მისი აზრით, ხელი შეუწყო მათი ამომრჩევლის მობილიზაციას: რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის და ტრადიციული ფასეულობების დაცვა.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით კი, "ამ არჩევნებზე გამჭვირვალობის კანონი და, მათ შორის, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი იყო ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი, ქართველმა ხალხმა არჩევნებით გამოხატა თავისი პოზიცია და გამოხატა, რომ ქართველი ხალხი დგას ამ კანონების უკან".

პოსტსაარჩევნო პერიოდში პარტიის წარმომადგენლები პირდაპირ იმეორებდნენ მათ მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გაჟღერებულ არამხოლოდ ნარატივებს, არამედ, კონკრეტულ სიტყვებსაც კი. მაგალითად, გურამ მაჭარაშვილი კვლავ აცხადებდა, რომ ოპოზიციამ "ლგბტ დროშა" ხელიდან არ გაუშვა, ასევე, აკეთებდა ჰომოფობიურ და მანიპულაციურ განცხადებას "კაცების გათხოვებაზე".

"აბა, სხვა რა შედეგებს ელოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები, როცა მთელი წინასაარჩევნო კამპანია ლგბტ დროშა ხელიდან არ

გაუშვეს? როცა ტრადიციების გინებას თავი არ დაანებეს? ეკლესიის ლანძღვას არ შეეშვნენ და არაფერი ქართული არ დატოვეს, რასაც კი შეეხნენ. ამიტომ, ისეთმა ხალხმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მანამდე რომ არ მიუღიათ, რადგან ამისკენ თავად ოპოზიციამ და მათმა პატრონებმა უბიძგეს, კაცების გათხოვების მოთხოვნით. არ გვინდა ეს კაცების გათხოვება, თუ ოპოზიციას უნდა, უნდა გათხოვდნენ და რაც უნდათ, ის აკეთონ. დღესაც იმავეს ამბობენ [ქვეყნის გარეთაც] — ოღონდ კაცები გაათხოვეთ და არჩევნებს ვაღიარებთო".

ევროკავშირის მხრიდან არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით კითხვებს ქართული ოცნების წარმომადგენლები კვლავ ანტიდასავლურ და დეზინფორმაციულ ნარატივს უპირისპირებდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს რუსულმა და ჰომოფობიურმა კანონებმა განაპირობა. მაგალითად, ზურაბ ქადაგიძე აცხადებდა: "ანუ, ეგ ორი კანონი რომ არ იყოს, მაშინ არჩევნებს აღიარებდა ევროკავშირი, ანუ სამართლიანი და ლეგიტიმური გახდებოდა ის უსამართლო, მოსყიდული და ბუნდოვანებით მოცული საარჩევნო გარემო, რასაც თუთიყუშებივით ამეორებინებთ თქვენ ქართველ ხელქვეითებს?! რა ვიცი, მეტად როგორ უნდა დაგასაქმონ თავზე პატრონებმა?! მეგონა, მთელი ოპოზიცია ხელისუფლებაში მოსვლაზე და უსამართლო არჩევნებზე იბრძოდით, აპროტესტებდით და თურმე, ისე დაგახურდავებენ თქვენივე პატრონები საკუთარ ინტერესებზე, რომ ხვალვე წაგაღებინებენ უკან პროტესტს, თუკი გააუქმებს ქართული ოცნება გამჭვირვალობის და ოჯახური ღირებულებების კანონს. თუმცა, რა გასაკვირია — აგენტს რა დავალებასაც მისცემენ, იმას იზამს და რომელი ხართ ოპოზიციიდან წინააღმდეგობის გამწევი?!".

გარდა ამისა, ქართული ოცნება აგრძელებდა მტკიცებას, რომ "კაცი კაცია და ქალი — ქალი". პარტიის წარმომადგენლები არც არჩევნების შემდეგ ერიდებოდნენ ჰომოფობიურ კონტექსტში ანტიდასავლური და დეზინფორმაციული განცხადებების გაკეთებას.

ირაკლი კობახიძე:

ეს კანონი არის უმარტივესი და სინამდვილეში ერთადერთ რამეს ემსახურება, საქართველოში არ უნდა წარმოებდეს ელგებეტე პროპაგანდა. ქალს უნდა ერქვას ქალი, კაცს უნდა ერქვას კაცი. არის არაერთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა მაგალითად, სადაც შეუძლია ქალს მივიდეს საჯარო რეესტრში თუ სამოქალაქო რეესტრში და შეუძლია, გადაეწეროს კაცად, ან კაცი შეიძლება მივიდეს რეესტრში და გადაეწეროს ქალად. ეს არის ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი... მე შემიძლია ხვალ წარმოვიდგინო თავი რომელიმე ცხოველად და რატომ არ უნდა ჩავეწერო ასეთად ან რატომ არ უნდა გაუქმდეს ჩემი, როგორც ადამიანის რეგისტრაცია, ამ დონის აბსურდზეა საუბარი.

შალვა პაპუაშვილი

გვითხრან, აგვიხსნან, თუკი სხვა ქვეყანაში ფარულად ფულის ხარჯვა არის ევროპული ღირებულებები, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის ეს ევროპული ღირებულებები. თუკი სკოლებში და ბაღებში ლგბტ პროპაგანდა არის ევროპული ღირებულება, თუკი სკოლებში და ბაღებში იმის პროპაგანდა, რომ არსებობს უთვალავი სქესი — ეს არის ევროპული ღირებულება, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ევროპული ღირებულება, ამიტომ გვითხრან ეს პირდაპირ, რა არის ევროპული ღირებულება.

მამუკა მდინარაძე

ისეთ ევროინტეგრაციას რა ვუთხარი, ელეგებეტე პროპაგანდაზე რომ გადის მისკენ გზა. ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია, რომ ვიღაცამ მითხრას და ვიღაცამ გვითხრას ქართველებს, რომ თუ ბავშვებში არ დაიწყეთ ელეგებეტე პროპაგანდა, მაშინ თქვენ ევროპას ვერ ეღირსებით.

ქართული ოცნების წარმომადგენლები აკეთებდნენ განცხადებებს ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებთან, კერძოდ კი, დონალდ ტრამპის გამარჯვებასთან დაკავშირებით. ისინი არგუმენტებში აქტიურად იშველიებდნენ პრეზიდენტ ტრამპის ჰომოფობიას, ბიფობიასა და ტრანსფობიას და ამტკიცებდნენ, რომ მისი პოლიტიკა ახლოსაა ქართველ ხალხთან, ოპოზიციას კი უცხოელები მართავენ და “კაცების გათხოვებას” ავალებენ.

მიხეილ ყაველაშვილის განცხადებით, ტრამპის გამარჯვება მხოლოდ აშშ-ის გამარჯვება არ იყო და “მისი სლოგანები და მიმართულებები, რაზეც იყო აქცენტი მის საარჩევნო კამპანიაში — მშვიდობაზე, ოჯახურ ღირებულებებზე, იდენტობაზე — ამ ყველაფერზე დაყრდნობა იწვევს შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, კეთილდღეობას, რა მხრივაც აშშ ყოველთვის მისაბაძი იყო”.

ქართული ოცნება ჰომოფობიური განცხადებებით ცდილობდა იმ ერთადერთი მოსამართლის დისკრედიტაციას, რომელმაც სასამართლო დავებზე განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცესში ხმის დაცულობა არ იყო უზრუნველყოფილი. მაგალითად, გურამ მაჭარაშვილი აცხადებდა: “მოსამართლე ხუჭუას მეუღლე და ზოგადად ოჯახი არის აქტივისტი, არა მხოლოდ მომხრე ნაცმოძრაობის, ლიბერალური ფაშიზმის და ასე შემდეგ. ეს სოციალურ ქსელებში შეგვიძლია წავიკითხოთ და, ასევე, ისიც შეგვიძლია წავიკითხოთ, მისი ოჯახის წევრი და მეუღლე ზოგადად როგორ არის ამ დანარჩენ ლიბერალურ ლგბტ პროპაგანდაზე გადართული და ასე შემდგომ”.

რაც შეეხება ოპოზიციას, მათი მხრიდან პოსტსაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო ნაკლები განცხადება გაკეთდა ჰომოფობიურ კანონზე და ზოგადად, ლგბტქია+ უფლებებზე. 13 ნოემბერს გაშუქდა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლის, ანა წითლიძის კომენტარი, სადაც ის ამბობს, რომ არ შეიძლება ქვეყნის პრობლემები ევროინტეგრაციის გზაზე ორ კანონამდე [რუსული და ჰომოფობიური კანონები] დაიყვანო, რადგან პრობლემა ივანიშვილის და ქართული ოცნების მმართველობაა.

ასევე, 14 ნოემბერს ინტერპრესნიუსმა გააშუქა მონაკვეთი ხატია დეკანოიძის ინტერვიუდან პალიტრა ნიუსზე, სადაც ის ზოგადად პასუხობს კითხვას, მიანიჭებს თუ არა დასავლეთი ლეგიტიმაციას ქართულ ოცნებას, თუ რუსულ და ჰომოფობიურ კანონებს გააუქმებს. დეკანოიძე ამბობს, რომ გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვაჭრობას კანონების გაუქმებაზე.

შეჯამება

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ქართული ოცნება და მასთან დაკავშირებული პირები ჰომოფობიას, ბიფობიას, ტრანსფობიას აქტიურად მიმართავდნენ წინასაარჩევნო პერიოდში. მეტიც, ქვიარების უფლებების შეზღუდვა და ცენზურა მათი ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა ქართული ოცნების ჰომოფობიური კანონის განხილვებსა და მიღებას. კანონი ზღუდავს ქვიარ ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებს და აწესებს ცენზურას. ის გაკრიტიკდა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მიუხედავად ამისა, კანონი ქართული ოცნების პოლიტიკური განცხადებებისა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო კამპანიის მთავარი დაპირებების ნაწილი იყო.

გარდა ამისა, მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში ქართული ოცნების წევრები გამოხატავდნენ მკვეთრ ანტიდასავლურ განწყობებს. ბრიფინგებზე, პრესკონფერენციებზე, სხვადასხვა მედიასთან ინტერვიუს დროს თუ რეგიონებში ვიზიტებისას ახდენდნენ იმ აზრის კულტივირებას, რომ ქვეყანაში "ლგბტ პროპაგანდა" დიდი პრობლემაა. ხშირად ისმოდა მესიჯები, რომ ხალხისთვის "ფსევდოდასავლური" ღირებულებების/იდეოლოგიის თავსმოხვევა დაუშვებელია; რომ "ელგებეტე პროპაგანდა" ძალიან სწრაფად ვრცელდება; რომ პარტია ირჩევს ტრადიციულ ღირებულებებს და იცავს ბავშვებს.

ჰომოფობიურ განცხადებებთან ერთად, ქართული ოცნება და მასთან დაკავშირებული პირები ეწეოდნენ ოპოზიციური პარტიებისა და პრეზიდენტ ზურაბიშვილის დისკრედიტაციას ქვიარ უფლებების ინსტრუმენტალიზაციის გზით, წარმოაჩენდნენ რა მათ ქვიარების დამცველებად.

მონიტორინგის პერიოდში, ოპოზიციური პარტიები არ გამოირჩე-

ოდნენ აღნიშნულ თემაზე აქტიურობით და ჟურნალისტების კითხ-ვებსაც პასუხობდნენ, რომ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და ქართული ოცნება ჰომოფობიურ ნარატივს ამომრჩევლის მობი-ლიზების მიზნით იყენებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ თანასწორობა, მრა-ვალფეროვნება არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მთავარი დაპირებებიდან ერთ-ერთი მაინც. პირიქით — როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ოცნება წინასაარჩევნო კამპანიას, ძი-რითადად, დისკრიმინაციულ განცხადებებზე აგებდა და უფრო მე-ტიც, არჩევნების შემდგომ პერიოდშიც აცხადებდა, რომ სწორედ ჰომოფობიური კანონი იყო მათი გამარჯვების ერთ-ერთი განმაპი-რობებელი ფაქტორი. ამასთან, მონიტორინგის პერიოდში, პარტი-ის მხრიდან ჰომოფობიური კანონი აქტიურად გამოიყენებოდა ან-ტიდასავლური ნარატივისთვის.

არც ოპოზიციის წარმომადგენელთა უმრავლესობის მხრიდან ჟღერდებოდა ცალსახა განცხადებები თანასწორობის მნიშვნე-ლობაზე. მათი დიდი ნაწილი ცდილობდა კანონზე მხოლოდ ზოგა-დი შეფასებით შემოფარგლულიყო, მეორე ნაწილი კი — თავადაც ჰომოფობიურ ნარატივებს აჟღერებდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვიარ ადამიანების მიმართ საზოგა-დოებრივი აზრი ჯერ კიდევ გაყოფილია, მოქალაქეების ნაწილს კი ლგბტქია+ ადამიანების მეზობლად ცხოვრებაც ვერ წარმოუდგე-ნია, ჰომოფობიურ წინასაარჩევნო კამპანიას და პოლიტიკური თა-ნამდებობის პირების მიერ ნაწარმოებ სიძულვილის კამპანიას, შე-საძლოა, მნიშვნელოვანი დამაზიანებელი ეფექტი ჰქონდეს.

ერთი მხრივ, ქართული ოცნების წევრები პრიორიტეტად სახავდ-ნენ და სახავენ მართლმადიდებლობის, ტრადიციების, ოჯახისა და ბავშვების დაცვის დიად მიზანს, რომლის გარანტორადაც საკუთარ პარტიას აცხადებენ. ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნარატივის მიზნების-თვის ხელისშემშლელ, საშიშ ელემენტად აცხადებენ ქვიარ ადა-მიანებს, უფლებადაცვით საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, ასევე პოლიტიკურ ოპოზიციას. ამასთან, ქართუ-

ლი ოცნებისადმი კრიტიკულ პროტესტებს აწებებდნენ “პრაიდის” იარლიყს.

პოლიტიკური სუბიექტების მიერ მტრული ნარატივების გავრცელება, ქვიარ ადამიანების დემონიზების მცდელობის რიგი შემთხვევები, რაც ანგარიშშიც აისახა, შესაძლოა პროპაგანდისტული ნარატივების ბადეში გაბმული მოქალაქისთვის მწვანე შუქად იქცეს, რათა ოჯახების, ბავშვების, ეროვნულობისთვის მტრად გამოცხადებული ადამიანების წინააღმდეგ იმოქმედოს. ამასთან, პოლიტიკური ქვიარფობია ისედაც სოციალურად წამგებიან პოზიციაში მყოფ ადამიანებს შიშისა და უიმედობის გრძნობას უმძაფრებს, რაც მენტალური ჯანმრთელობის რისკებს ქმნის. მეტიც, პოტენციური საფრთხის წინაშეა ყველა ადამიანი, რომლის თვითგამოხატვა დაწესებულ გენდერულ ნორმებთან შესაბამისობაში არ არის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოჯახები, რომლებშიც ქვიარ მოზარდები/ადამიანები ცხოვრობენ მეტად მოწყვლადი არიან სოციუმის განწყობების მიმართ, რის გამოც შეიძლება გაიზარდოს წნეხი ოჯახის ქვიარ წევრზე, მისი დაცვის საბაბით თუ მიზნით. ქვიარ სათემო ორგანიზაციები აღნიშნავენ კიდეც, რომ სიძულვილის კანონის სახალხო განხილვების, განსაკუთრებით კი მისი მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ თემის წევრების რიცხვი, ვისაც ფსიქოლოგის სერვისი დასჭირდა. როდესაც ხელისუფლება საარჩევნო სტრატეგიად ადამიანის დევნას აცხადებს, მნიშვნელოვნად იზრდება იმ ადამიანების რაოდენობაც, ვინც იძულებულია ქვეყანა დატოვოს და არასაიმედო, გაურკვეველ ახალ რეალობაში აღმოჩნდეს, რაც კიდევ ერთი დარტყმაა სახელმწიფოსგან უარყოფილი მოქალაქისთვის.

კანონის ეფექტის მიღმა, ქვიარფობიური ნარატივების გავრცელება ფიზიკური და ფსიქოლოგიური საფრთხის წინაშე აყენებს ქვიარ ადამიანებს და ტრადიციულად გაგებული თვითგამოხატვის არმქონე ადამიანებს. მეორე მხრივ, კი აღნიშნულმა მოცემულობამ, შესაძლოა, სერვისის გამცემ ორგანიზაციებში შექმნას კრიზისი — სწრაფად მზარდი მოთხოვნისა და საჭიროებების, ამის საპირწონედ კი შეზღუდული რესურსების გამო.

და ბოლოს, პოლიტიკური ჰომოფობია არამხოლოდ ეწინააღმ-
დეგება საერთაშორისოდ გარანტირებულ ადამიანის უფლებებს,
არამედ ზრდის რისკებს და მოაქვს პირდაპირი ზიანი ასეულობით
ადამიანის ცხოვრებაზე. ღირსეული და თანასწორი სიცოცხლის
უფლება კი ბევრად უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე ნებისმი-
ერი პოლიტიკური პროცესი.